ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 20 ოქტომბერი, 2022

№207 (8985)

ფასი: 80 თეთრი

## ბათუმში ბავშვს, რომელიც გარე განათების ბოძს შეეხო, დენმა დაარტყა

გვ.5




## კახეთში მეორე კლასის მოსწავლეს თანაკლასელმა ყელის არეში დაზიანება მავთულით მიაყენა

# „კალაძე თუ არაფერს აკონტროლებს, რა უნდა მერად, მისი ფუნქცია მხოლოდ ფოტოების გადაღებაა?!“



ლევან ხაბეიშვილი: „მორალური კატეგორიებიდან გამოვალთ თუ პოლიტიკურიდან, კახი კალაძის პასუხისმგებლობა გამოკვეთილია!“

„მე, ლევან ხაბეიშვილს, პარტია ნაციონალურ მოძრაობაში არანაირი პოლიტიკური თანამდებობა არ მაინტერესებს, არც მჭირდება და არც მინდა!“

„თუ ნაციონალური მოძრაობა სუსტი იქნება, დამერწმუნეთ, ბიძინა ივანიშვილის დამარცხება შეუძლებელი გახდება“

გვ.3




## „ოცნებას“ არ აწყობს, რომ სააკაშვილი ქართული პოლიტიკიდან წავიდეს“

შალვა ხაჭაპურიძე: „ექსპერტიზის შედეგები უკვე მიღებულია. საბოლოო დასკვნას ექსპერტები ამ კვირის ბოლოს გასცემენ“

გვ.2



გვ.3



## „სად არის ოპოზიციის მიერ დაანონსებული „ცხელი შემოდგომა“?!“

დავით ჭიჭინაძე: „ვის რაში ანაღვლებს, რამდენპროცენტიანი საარჩევნო ბარიერი იქნება, მაშინ როდესაც ქვეყანა ხალხისგან დაიცალა“



გვ.4

## „ნატოსა და ევროპის ინტერესშია, წაართვას პუტინს ბელარუსი“

„ბირთვული იარაღის გამოყენება პუტინისთვის ყველაზე ხელსაყრელია ბელარუსის ტერიტორიიდან“

## პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით ინვესტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა



გვ.4

1993230720223

2 ირაკლი კობახიძე: „კახი კალაძის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე საუბარი ცარიელი სპეკულაციაა და აბსოლუტურად უადგილოა“

6 ბლინკენი: „პუტინი აცნობიერებს, რომ დამარცხდა“

2 ანა ნაცვლიშვილი: „რა არის ის ზღვარი, რომლის იქითაც შეშფოთდებით და იტყვით, რომ ამ სამეფოში რაღაც ყარს!“

6 კვარაცხელია მომავალი წლის ოქროს ბურთის პრეტენდენტებში მოიხსენიეს

# „ოცნებას“ არ აწყობს, რომ სააკაშვილი ქართული პოლიტიკიდან წავიდეს“

## შალვა ხაჭაპურიძე: „ექსპერტიზის შედეგები უკვე მიღებულია. საბოლოო დასკვნას ექსპერტები ამ კვირის ბოლოს გასცემენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

***— ბატონო შალვა, ამერიკელი ექსპერტების მიერ მიხეილ სააკაშვილს ჩაუტარდა ექსპერტიზა. ხელისუფლება აცხადებს, რომ ყველა ტყუის, ქართველი ექსპერტებიც და უცხოელებიც. ასევე ცრუობს ყველა ადვოკატი და რომ სააკაშვილი კარგადაა. ადვოკატები და ოჯახის წევრები აცხადებთ, რომ ის ძალიან მძიმედაა. რა ხდება რეალურად, როგორია მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა?***

— სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მე, როგორც იურისტი რასაც ვხედავ, არის მძიმე. რაც შეეხება ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარისხს, ეს უნდა განსაზღვროს საექსპერტო დასკვნამ. ექსპერტიზის შედეგები უკვე მიღებულია. ამჟამად უკვე მუშაობენ ექსპერტები და საბოლოოდ ამ კვირის ბოლოსთვის გასცემენ დასკვნას, როგორც ვიცი.

***— ხელისუფლების განცხადებებზე რას იტყვით?***

— რაც შეეხება ხელისუფლების განცხადებებს, კერძოდ, იქ კალაძის განცხადება იყო, რომ ტყუის და ასე შემდეგ, კიდევ სარჯველაძეს ჰქონდა იგივე განცხადება. კითხვა მაქვს მათთან, ვინც ეს განცხადება გააკეთა: რას ტყუიან? ჯერ არაფერი არ უთქვამთ ამ ექსპერტებს. მათ შეამოწმეს სააკაშვილი. ოთხი ამერიკელი ექსპერტი იყო, მოგეხსენებათ, წავიდნენ და არცერთ მათგანს სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია. დაიდება დასკვნა. ჯერ არაფერი თქმულა და კითხვა მაქვს: რას ტყუიან?!

***— წინასწარ ქმნიან ფონს, რომ ყველაფერი ტყუილია?***

— სიმართლე გითხრათ, ეგ არასერიოზულია. ამით ჩანს, რომ ვიღაცებს არ უნდათ, სააკაშვილი გავიდეს პოლიტიკური ველიდან. არადა, ეს კაცი აცხადებს, მე ქართული პოლიტიკიდან წასული ვარ, ქართული პოლიტიკა არ მაინტერესებსო და, შესაბამისად, სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები უნდა დადგეს პოლიტიკის მიღმა! ეს არის ჰუმანიტარული აქტი. სწორედ ამიტომ შემოიღეს ეს მუხლი სასჯელის გადავადების შესახებ, რომ სახელმწიფო ავლენს კეთილ ნებას და ადამიანს იმის შანსს აძლევს, რომ გადაირჩინოს თავისი სიცოცხლე. ყველა მსგავსი ტიპის განცხადება, რომლებიც კეთდება და კვლავ გაკეთდება, ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო, ისე – ქართულ კანონმდებლობას. ეს პირდაპირ მიმართულია იმ მოსამართლეებზე ზეწოლისკენ, რომლებსაც შესაძლებელია დაეწეროთ სააკაშვილის საქმე. ასე რომ, ნებისმიერი ამ ტიპის განცხადება ჩვენ მიერ გაგზავნილი იქნება სტრასბურის სასამართლოში. რამდენიმე უკვე გაიგზავნა და, თუ მსგავსი განცხადებები გაკეთდება, ისინიც გაიგზავნება სტრასბურის სასამართლოში.



***— ბრძანეთ, რომ არ აწყობთ მისი პოლიტიკიდან გასვლა. უნდათ, რომ ისევ ბუას როლი ჰქონდეს?***

— რა თქმა უნდა, ასეა. ამაზე არაერთხელ დაწერილა. დღეს სააკაშვილი, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მკვეთრად არის გამიჯნული ქართული პოლიტიკისგან, ხოლო ხელისუფლების გარკვეულ ჯგუფებს არ უნდათ ეს და, პირიქით, ურჩევნიათ, სააკაშვილი დარჩეს პოლიტიკურ სივრცეში, მერე კი თავიანთი წარუმატებლობები სააკაშვილს გადააბრალონ. ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ ეს აღარ გამოვა. სააკაშვილი ქართული პოლიტიკიდან წასულია!

***— ანუ ამას სააკაშვილი თქვენთან საუბრებშიც ღიად აცხადებს?***

— დიახ, ასეა. ვიმეორებ, ის ქართული პოლიტიკიდან წასულია. მას სავსებით გაცნობიერებული აქვს ის მდგომარეობა, რომ საქართველოს ბედი დღეს საქართველოში არ წყდება. საქართველოს ბედი წყდება რუსეთ-უკრაინის ომში და ეს წყდება უკრაინაში.

***— უკრაინა ახსენეთ. იქაც ჩატარდა სასამართლო პროცესი და იქაური სასამართლო მოითხოვდა სააკაშვილის გადაყვანას. ამასთან დაკავშირებით რა ხდება, ამაზე უარი მიიღეთ?***

— უკრაინის სასამართლომ ეს გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ საქართველოში ჯერ არ გამოუგზავნია. ეს დოკუმენტი საქართველოში ჯერ არავის არ წაუკითხავს. მიუხედავად ამისა, იუსტიციის მინისტრმა მაინც გააკეთა განცხადება, სააკაშვილს ჩვენ არ გადავცემთო, მაშინ როცა არც იცის, იმ დოკუმენტში რა წერია. იქნებ არც სთხოვენ გადაცემას და სთხოვენ, დისტანციურად დაკითხონ.

***— რას ნიშნავს ეს წინმსწრები განცხადებები?***

— იმას, რომ ასიამოვნონ ბიძინა ივანიშვილს და უთხრან, მიხეილ სააკაშვილს არ გავახარებთო. სხვანაირად ამას ვერ ავხსნით.

***— როდის ელოდებით ექსპერტების საბოლოო დასკვნას, ან სასამართლო პროცესი როდის ჩაინიშნება?***

— შუამდგომლობა სასამართლოში შევა იმის მიხედვით, თუ როგორი დასკვნა იქნება. თუ დასკვნაში აღნიშნული იქნება, რომ პაციენტი მძიმე ავადმყოფია, მაშინ მივმართავთ სასამართლოს. თუ ასეთი დიაგნოზები და ჯანმრთელობის ხარისხის შეფასება არ იქნება, მაშინ არ მივმართავთ სასამართლოს. რაც შეეხება დროს, ვცდილობთ, რაც შეიძლება მალე იყოს. ეს ადვოკატებზე არ არის დამოკიდებული. თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, წესით, ამ კვირის ბოლოს უნდა იყოს. დეტალური მუშაობა მიმდინარეობს, რადგან ვიცით, ეს დასკვნა რა რევიზიას გაივლის. ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა, რომ ნებისმიერი დიაგნოზი იყოს მყარად დასაბუთებული. ამას კი დრო სჭირდება.

# ირაკლი კობახიძე: „კახი კალაძის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე საუბარი ცარიელი სპეკულაციაა და აბსოლუტურად უადგილოა“



— ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს რადიკალურად განსხვავებული სურათი. ამ 5 წლის განმავლობაში კახი კალაძის ხელმძღვანელობით თბილისის მერიაში ათასობით პროექტი განხორციელდა და ეს პროექტები გამორჩეული იყო მაღალი ხარისხით როგორც ვიზუალური, ასევე, ტექნიკური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, არათუ სისტემური პრობლემა არ არსებობს, პირიქით, სისტემურად პროექტები ხორციელდება წარმატებით.

ამ შემთხვევაში იყო კონკრეტული გადაცდომა, გულგრილობა, რამაც გამოიწვია ტრაგიკული შედეგი. რაც შეეხება სისტემურ პრობლემას, ასეთი პრობლემა არ ვლინდება. ასეთ პირობებში მერის, კახი კალაძის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე საუბარი, არის ცარიელი სპეკულაცია და აბსოლუტურად უადგილო, – თქვა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

# ანა ნაცვლიშვილი: „რა არის ის ზღვარი, რომლის იქითაც შეშფოთდებით და იტყვით, რომ ამ სამეფოში რაღაც ყარს!“

— პარლამენტში ყოველ წელს შემოდიოდა დოკუმენტი, რომლის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში დანაშაულებრივი ხარვეზები ვლინდება – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეს ანგარიშიც ფართოდ დახუჭული თვალებით გაატარეთ – ხო, სხვისი შვილია და შედარებით მარტივია... – ეს განცხადება „ლელოს“ დეპუტატმა ანა ნაცვლიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, აუდიტის სამსახურის ანგარიშის განხილვისას გააკეთა.



ნაცვლიშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან გენერალური აუდიტორის ანგარიშიდან რამდენიმე ნაწილი წაიკითხა, რადაც ასახულია, თუ რა ტიპის პრობლემები და ხარვეზები ვლინდება შესყიდვების მიმართულებით. მისივე თქმით, როდესაც სისტემური რეკომენდაციების 2/3-ზე მეტი სახელმწიფო უწყებების მხრიდან არ სრულდება, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო უწყებები კანონს არ ემორჩილებიან.

— როდესაც ურემი გადაბრუნდება, კითხვებს გულუბრყვილოდ ვსვამთ – რის გაკეთება შეგვეძლო? ის, რის გაკეთებაც შეგეძლოთ, გენერალურ აუდიტორს 2017, 2018, 2019, 2020, 2021 წლებში პარლამენტში ანგარიშები მოჰქონდა, სადაც ეწერა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არის მრავლობითი ჩავარდნები. ეწერა, რომ არ ხდება ეფექტური კონტროლი, როდესაც სახელმწიფო კერძო კომპანიას დაიქირავებს, ის კომპანია კიდევ – ქვეკომპანიას, ის ქვეკომპანია – ქვე ქვეკომპანიას და ის თურმე გავა ქუჩაში, ელექტრიკოსს იპოვის და ის ელექტრიკოსი რომ ქვეყანას დააქცევს, ყველა მხრებს აიჩეჩს – ჩვენ რა შუაში ვართ?! რა არის ის ზღვარი, რომლის იქითაც შეშფოთდებით და იტყვით, რომ ამ სამეფოში რაღაც ყარს! კიდევ რა უნდა მოხდეს, რომ სინდისმა შეგვაწუხოს და რეაგირება მოხდეს, – განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

# გიგა ბოკერია: „იმის ნაცვლად, რომ კახა კალაძე რაც შეიძლება სწრაფად გადადგეს, შეტევაზეა გადმოსული“

„ევროპული საქართველოს“ ლიდერ გიგა ბოკერიას განცხადებით, თბილისის მერი კახა კალაძე შეტევაზეა გადმოსული, იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობის თაობაზე გადაწყვეტილება სწრაფად მიეღო. ამის შესახებ ბოკერიამ ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც უპასუხა დასმულ შეკითხვას ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიასთან მიმართებით კახა კალაძის პასუხისმგებლობის აუცილებლობაზე.

— კიდევ ერთი დაგვირგვინება ვიხილეთ ამ ძალიან უტიფარი, საზოგადოებისთვის ძალიან შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების, რასაც ივანიშვილის რეჟიმის ეს წარმომადგენელი, კალაძე, ამ ტრაგედიის ფონზე ავლენს.

იმის ნაცვლად რომ, რაც შეიძლება სწრაფად მიეღო გადაწყვეტილება პოლიტიკური პასუხისმგებლობის თაობაზე, შეტევაზეა გადმოსული, მათ შორის, იმ ფონზე, რაც გუშინ მოხდა, როცა ამ ტრაგედიაში მონაწილე ბავშვის პროპაგანდისთვის გამოყენების მცდელობა ჰქონდა. ეს ყველაფერი ივანიშვილის რეჟიმის სტანდარტებითაც კი ძალიან ამაზრზენად გამოიყურება, სამწუხაროდ.

აქედან გამომდინარე, რაც დრო გავა, ეს ამბავი მორალურად და პოლიტიკურად კიდევ უფრო დამძიმდება. ჩვენთვის, როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის, ეს კიდევ ერთი მაგალითია იმის, თუ რას გვიქადის მთლიანად ივანიშვილი რეჟიმი, რომლის პროდუქტიც არის კალაძე და რატომ არის ჩვენთვის ეროვნული ამოცანა, რომ ამ გზით ეს ქვეყანა აღარ წავიდეს და ეს რეჟიმი ჩამოსცილდეს ხელისუფლებას, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

# ალეკო ელისაშვილი: „უხერხულია, როცა კალაძე ფეხს ითრევს და უნდა, ჯოხი სხვაზე გადატეხოს“



— უხერხულია, როცა კახა კალაძე ფეხს ითრევს და უნდა, ჯოხი სხვაზე გადატეხოს – სანამ გამოძიება მიმდინარეობს, სულ მცირე, მაღალი თანამდებობის პირებს უფლებამოსილება უნდა შეუჩერდეთ, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა.

ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ არსებულ პრობლემებს მხოლოდ „გადადექის“ ძახილი არ უშველის.

— სამწუხაროდ, ძალიან გრძელია ტრაგიკული ისტორიების ჩამონათვალი. 2009 წელს დიღომში სტადიონზე ბავშვს ძელი დაეცა და დაიღუპა. ამავე წელს „რუსთავი 2“-ის შენობა ჩამოინგრა და ორი ადამიანი დაიღუპა. შარშან ბათუმში სადარბაზო ჩამოინგრა, სადაც ცხრა ადამიანი დაიღუპა. მეტროსადგურ „ვარკეთილში“ ჭერი ჩამოვარდა და ორი ადამიანი დაშავდა. ახლა ვაკის პარკში ეს ტრაგედია მოხდა. სისტემური პრობლემის მთელი ჯაჭვია. ერთია – თანამდებობის პირების უპასუხისმგებლობა. 2009 წლიდან რომელი თანამდებობის პირი გადადგა და იგრძნო მორალური პასუხისმგებლობა? ან რომელი მაღალი თანამდებობის პირი დააკავეს და არა ყავის მომდუღებლის თანაშემწე?! სისტემური პრობლემაა, თუ როგორ ტარდება ტენდერები, როგორია მოთხოვნა, ექსპერტების კვალიფიკაცია როგორ მოწმდება? სამშენებლო ნორმები არ არსებობს. თუ ამ ყველაფერს არ მოვაგვარებთ, მხოლოდ „გადადექის“ ძახილი არ უშველის, თუმცა „გადადექიც“ მნიშვნელოვანია! – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სად არის ოპოზიციის მიერ დაანონსებული „ცხელი შემოდგომა“?!“

## დავით ჭიჭინაძე: „ვის რაში ანაღვლებს, რამდენპროცენტიანი საარჩევნო ბარიერი იქნება, მაშინ როდესაც ქვეყანა ხალხისგან დაიცალა“



ნათია ხურცილავა

**„ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, „ქართული ოცნების“ დეპუტატ ალუდა ღუდუშაურს ოპოზიციის მისამართით, რომლებიც კახა კალაძის გადადგომას ითხოვენ, კითხვა გაუჩნდა: რა არის კალაძის გადადგომის მიზეზი. რას უპასუხებდით?***

– ასეთ დეპუტატებს რა უნდა ვუპასუხოთ, რეალობას არიან აცდენილი. მათ არა აქვთ არც სახელმწიფოსა და არც ამ სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანების განცდა, რომ ვიღაც არის პასუხისმგებელი, რომ სახელმწიფო სისტემისგან შედგება, სადაც ვიღაცებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ამ ხალხს ჰგონია, ოპოზიცია იმისთვის არის, რომ ტაში უკრას ხელისუფლებას და დითირამბები უმღეროს?! ეს როგორი სახელმწიფოა, ამაზე თუ დაფიქრებულან მაინც. ამას ხომ დანიშნული ოპოზიცია აკეთებს. ჰყავთ დანიშნული ოპოზიციაც, რომლებსაც პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული.

***– აღნიშნულ საქმეზე მერიის სამსახურის უფროსის მოადგილეა დაკავებული.***

– ე.ი. გამოიკვეთა დანაშაული, მაგრამ უფროსი რატომ არ არის პასუხისმგებელი, ეს არის საინტერესო. სად იყო ამ დროს უფროსი?! ასეთი საქმეები სამსახურის უფროსის მოადგილის დონეზე რომ არ წყდება, ესეც ყველამ იცის, იმხელა თანხაზეა საუბარი. ოდნავი ღირსება მაინც თუ შერჩათ, საკუთარ თავთან მარტო რომ დარჩებიან, ხომ დაფიქრდებიან, ხომ შეაწუხებთ სინდისი.

***– პოლიტიკურ პროცესზე რომ ვისაუბროთ. როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია ამ პროცესების მიმართ რამდენად ადეკვატურია?***

– რომელ ადეკვატუროაბაზეა საუბარი, როდესაც საქართველოს პარლამენტი იმდენად არაადეკვატური გახდა, რომ რუსეთის დუმას დაემსგავსა. ასეთი ტრაგედიების ფონზე, იმ ფონზე, როდესაც ქვეყნიდან 100 ათასი ადამიანი ემიგრაციაში გადაიხვეწა, როდესაც ადამიანებს ბანკების ვალები და პროცენტები ახრჩობთ, ოპოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებებზე, საარჩევნო ბარიერსა და პროკურორის არჩევის წესზე საუბრობს. ვის რაში ანაღვლებს, რამდენპროცენტიანი საარჩევნო ბარიერი იქნება, მაშინ როდესაც ქვეყანა ხალხისგან დაიცალა, არავინ დარჩა. ან ვისთვის გვინდა საარჩევნო კოდექსი და ის ცვლილებები, რომლებზეც პარლამენტის ტრიბუნებიდან გვესაუბრებიან. დღევანდელი პარლამენტი არაადეკვატურობის ზენიტშია.

ხელისუფლებას, რომელიც მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობს და არ ადარდებს ქვეყნის მომავალი, ამ ქვეყნის მოქალაქეების ბედი, დიდი დრო არ უწერია. არ შეიძლება, ხალხი ემიგრაციაში ხედავდეს ხსნას, გადარჩენას და შენ ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობდე. ამაში იმ ოპოზიციასაც მიუძღვის თავისი წვლილი, რომელიც პარლამენტში შევიდა. ნიკა მელია დაიჭირეს, ციხეში გაუშვეს და ესენი პარლამენტში შევიდნენ.

***– როდესაც სუსტია ოპოზიცია, ხელისუფლება ანგარიშს არ უწევს მას. ესეც არის მიზეზი?***

– ანგარიშს კი არ უწევს, ანგარიშს უვსებს! ოპოზიცია, რომელიც დღეს თუნდაც იმ პარლამენტიდან არ ახმოვანებს ხალხის დაკვეთას, მის ტკივილს, არ იცავს მის ინტერესებს, რასაკვირველია ამ პროცესის, არსებული რეალობის თანამონაწილე ხდება. ამიტომ ვამბობ, რომ ანგარიშს უვსებს.

***– ოპოზიციამ რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, კონკრეტულად რა საკითხები უნდა წამოსწიოს?***

– ხალხი, პირდაპირი მნიშვნელობით, ბანკის ვალებში იხრჩობა. რატომ არ აყენებენ ასეთი მაღალი საბანკო სესხების შესახებ საკითხს, ან ცხოვრება რომ კატასტროფულად გაძვირდა, ხელფასების გაზრდის საკითხს რატომ არ აყენებენ?! ამ შემთხვევაში კერძო სექტორზე ვსაუბრობ, მაგრამ ეს ის საკითხებია, რომლებზეც ოპოზიცია უნდა საუბრობდეს. ან რატომ არ სვამენ კითხვას, საიდან მოდის ამდენი ტრაგედია, კორუფცია ხომ არ არის შემთხვევით მიზეზი?! ან რატომ არ იბრძვის ოპოზიცია, რომ ეროვნული ბანკი, რომელსაც ვერავინ ვერ ეხება, ვერავინ ვერ აკონტროლებს, ვინმემ გააკონტროლოს?! სხვა უამრავი საკითხია, რომლებიც უშუალოდ ადამიანებს, მათ ცხოვრებას, ყოველდღიურ პრობლემებს ეხება, მაგრამ ამაზე ოპოზიცია რატომღაც დუმს.

ორი დღის წინ პარლამენტის პლენარულ სესიას ვუყურებდი. ისეთი დამცინავი, ამაზრზენი ვითარება იყო, დიდი ხანია, ასეთი მდგომარეობა არ მინახავს. თვითონ ჩაიყენა ოპოზიციამ საკუთარი თავი ამ მდგომარეობაში. მათ შანსი ჰქონდათ, როდესაც არჩევნები მოპარული იყო და ხალხი ქუჩაში გამოვიდა, ეს ხალხი რეალურ ცვლილებებს ელოდა და ამიტომ ამ ოპოზიციის გვერდით დადგა.

***– რამდენად რეალური იყო ეს შანსი?***

– იყო, რადგან „ქართულ ოცნებაში“ შიდა დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. გახსოვთ, როგორ გადადგა გახარია, რა განცხადებები გაკეთდა მაშინ. რა თქმა უნდა, შანსი იყო, მაგრამ ოპოზიცია პარლამენტში შევიდა.

ან სად არის დაანონსებული „ცხელი შემოდგომა“? ან ამ „ცხელ“ პროტესტს ისინი რატომ აანონსებენ, რომლებსაც ხალხი დასანახად ვერ იტანს?! ეს ყველაფერი „ქართული ოცნების“ წისქვილზე ხომ არ ასხამს წყალს? ეს არ არის ბრძოლა და ხალხს არანაირ შედეგს არ მოუტანს.

# „კალაძე თუ არაფერს აკონტროლებს, რა უნდა მერად, მისი ფუნქცია მხოლოდ ფოტოების გადაღებაა?!“

## ლევან ხაბეიშვილი: „მორალური კატეგორიებიდან გამოვალთ თუ პოლიტიკურიდან, კახი კალაძის პასუხისმგებლობა გამოკვეთილია!“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტის დეპუტატი ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.**



**„მე, ლევან ხაბეიშვილს, პარტია ნაციონალურ მოძრაობაში არანაირი პოლიტიკური თანამდებობა არ მაინტერესებს, არც მჭირდება და არც მინდა!“**

***– ლევან, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? ბოლო დღეებია, თბილისის მერიასთან ხმაური და აჟიოტაჟი არ ცხრება. დააკავეს 9 პირი. ასევე თანამდებობა დატოვა მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსმაც. უნდა აგოს თუ არა პასუხი თავად თბილისის მერმაც?***

– როდესაც ეს 9 პირი დააკავეს, მაშინ ვთქვი, მუშას ეძებენ-მეთქი. კომპანიის სპეციალისტები, ვიღაც ელექტრიკოსი. არადა, რეალურად სისტემურ კორუფციასთან გვაქვს საქმე. მერიის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე დააკავეს, რომელიც, იდეაში, ამ საქმესთან არანაირ შემხებლობაში არ არის. არანაირი ლეგიტიმაცია არ გააჩნია. ხელიც კი არ ექნება რაიმეზე მოწერილი, ამაში დარწმუნებული ვარ. ეს ადამიანი არც ხელშეკრულების გაფორმებაზე, არც კომპანიასთან ურთიერთობაზე, საერთოდ არაფერზე პასუხისმგებელი არ იყო. უბრალოდ, უნდა ეჩვენებინათ, რომ აი, მერიის თანამშრომელიც დააკავეს და მარტო კომპანიის თანამშრომლები არ დაუკავებიათ. მოდით, ერთი რამე ვიკითხოთ, ეს ცხრა ადამიანი, გახსნა, იპრანჭებოდა და იძახდა, მე გავხსენიო?! ამას აკეთებდა დედაქალაქის მერი! სწორედ მერმა აიღო პასუხისმგებლობა, როცა თქვა, გავხსენით, მოდით და გაერთეთო.

***– მისი პასუხისმგებლობა იკვეთება?***

– ვიდეოც დევს, სადაც მერი ამბობს, რომ ის დეტალურად საქმის კურსში იყო, ხოლო ახლა, როცა ტრაგედია დატრიალდა, უნდა, რომ ხელი შეაწმინდოს სხვებს, ხოლო თავად წავიდა და მცირეწლოვან ბავშვს ამოეფარა. მორალური კატეგორიებიდან გამოვალთ, პოლიტიკურიდან თუ საიდანაც არ უნდა გამოვიდეთ, კახი კალაძის პასუხისმგებლობა გამოკვეთილია! თუნდაც მათსავე ლოგიკას გავყვეთ, ერთი შადრევნის გაკეთების დროს 9 თანამშრომელია დამნაშავე, ზოგი გამყალბებელი, ზოგმა მოიტყუა, მოკლედ, სრული ბარდაგია მერიაში! ერთ შადრევანთან დაკავშირებით რომ ასეთი ბალაგანია, წარმოიდგინეთ, რა ხდება დიდ პროექტებზე, საგზაო ან სამშენებლო მიმართულებით. ერთ შადრევანზე რომ ამბობენ, 9 ადამიანია დამნაშავე და ამის მერე მერი აგრძელებს მუშაობას, ვითომც არაფერი არ მომხდარა, რა გითხრათ, აბა.

***– თუ ჩემი პასუხისმგებლობა გამოიკვეთება, მზად ვარ, პასუხი ვაგო კანონის წინაშეო, აცხადებს კალაძე. არ გამოიკვეთა მისი პასუხისმგებლობა?***

– რომ დადგა და გვითხრა, ყველაფერი კარგად არისო, მივიდა იქ ფოტოგრაფებთან და პიართან ერთად და დაგვპატიჟა, მობრძანდითო. რამდენიმე საათში კი ეს უბედურება მოხდა, უკვე მისი პასუხისმგებლობაა. ახლა რაც არ უნდა გადააბრალოს ელექტრიკებს, რაც არ უნდა გადააბრალოს კომპანიებს, უკაცრავად, მაგრამ 220 ვოლტის მოწყობილობა რომ აიღეს და პირდაპირ წყალში ჩადეს, როცა ეს უნდა ყოფილიყო 15 მეტრის გარეთ, მშრალ ადგილას, ეს არ იცოდა?! აბა რის მერია? აბა რანაირი თანამშრომლები ჰყავს? ამასაც თუ ვერ აკონტროლებს, აბა მაშინ რა უნდა მერად?! მარტო ფოტოების გადაღებაა მისი საქმე და მარტო გახსნა?! თუკი რამე გახსნა, ხომ ყველაფერზე იძახდა, მე ავაშენე, მე გავაკეთეო, დეტალურად ვიცი ეს ყველაფერი, პირადად ვარ ჩართულიო. როგორც კი უბედური შემთხვევა მოხდა, მე არაფერ შუაში ვარო. კომპანიებსა და სხვადასხვა ადამიანს შეაწმინდა ხელი. ცხადია, მისი პასუხისმგებლობა გამოკვეთილია, ჩვენდა საუბედუროდ, შეგვაჩვიეს ამ ყველაფერს, რომ არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს.

***– არადა, იყო მოლოდინი, რომ კახი კალაძე აიღებდა პასუხისმგებლობას და გადადგებოდა.***

– მე მსგავსი მოლოდინი არ მქონია. არანაირი მაღალი წარმოდგენის არ ვარ კალაძეზე, რომ მორალური კატეგორიებიდან ამოვიდოდა ან პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეყოფოდა. ეს ადამიანი არის ჩვეულებრივი მომხვეჭელობით დაკავებული, კორუფციონერი! მისი მთავარი ღირებულება ფულია! უამრავი სიუჟეტი მაქვს გაკეთებული პირადად მეც. ასე რომ არ იყოს, ეს კომპანია ტენდერში კი არ უნდა იმარჯვებდეს და ათეულობით მილიონს კი არ უნდა იღებდეს, არამედ თაღლითობაში უნდა ყოფილიყო მხილებული.

***– გამუდმებით იყო საუბარი, რომ ამ ტენდერებში კორუფცია ყვავის. ამით რატომ არავინ არ ინტერესდება?***

– ესაა საქმე. სანამ უბედური შემთხვევა არ მოხდა, არც კი აღიარებდნენ. ამ ყველაფერზე როცა ვსაუბრობდი, ეგ ტყუილია, ეგ ხაბეიშვილმა მოიგონაო. ხან მასხარებს გვეძახდნენ და ხან მთაწმინდიდან გამოექანეთო. ნაცვლად იმისა, რომ პრობლემა დაენახათ, მუდმივად აქეთ გვდებდნენ ბრალს, რომ ვიტყუებოდი. ერთ შადრევანზე თუ 9 კაცი ჩადის დანაშაულს, გამოდის, რომ ბარდაგია მერიაში!

***– ლევან, რას ელით, დადგება კალაძის პასუხისმგებლობის საკითხი?***

– არა, არანაირად. გუშინ გამოგვიცხადეს, რომ მერიაში არის ოფიციალური ბალაგანი. მერე არაუფლებამოსილ პირზე თქვეს, რომ მოადგილეა დამნაშავე, რომელიც საერთოდ არ გვინახავს იქ. ესენი იპრანჭებოდნენ, ჩვენ გავაკეთეთო. თუ რამე გაფუჭდა, მუშის ბრალია და ამათი ბრალია, თუ გაკეთდა. არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება და არავინ არაფერზე არ დაისჯება. ამაში 100%-ით ვარ დარწმუნებული. ამ ქვეყანაში არასდროს არავის მსგავსი პასუხისმგებლობა არ აუღია.

***– ახლა მაინც სად არის ოპოზიცია და თქვენი ერთიანობა? არაერთ აქციას აანონსებდით ზაფხულში, ცხელ შემოდგომას გვპირდებოდით. ორი დღის წინ კი ვნახეთ მერიასთან მისული ათიოდე ადამიანი პროტესტის გამოსახატავად. სად ხართ? რატომ არ გამოიყვანეთ მთელი თბილისი ქუჩაში?***

– ლოგიკური კითხვაა. ოპოზიციას სჭირდება გაჯანსაღება, ოპოზიციურ ველზე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ერთობა და ამ მიმართულებით აბსოლუტურად ლეგიტიმურია შენიშვნა, რომ ოპოზიციამ მეტი უნდა იაქტიუროს. ამაში ცალსახად გეთანხმებით და, შესაბამისად, ის, რომ ამ ველზეც არის სერიოზული პრობლემები, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. თუ ჩვენ გვინდა, რომ გადამწყვეტი ბრძოლა დავიწყოთ ჩვენი ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია ერთობა, ერთიანი სტრატეგია და ბრძოლა.

***– ოპოზიციას დღეს შიდა დაპირისპირებები უფრო აქვს.***

– თუ ადამიანები დროს კარგავენ ერთმანეთის ლანძღვაში, დაპირისპირებაში, ამან ეს ქნა და იმან ის ქნა, ამით არაფერი არ გამოვა. ვიმეორებ, ეს არის საჩუქარი ბიძინა ივანიშვილისა და ამ ხელისუფლებისთვის. ამიტომ, გეთანხმებით, სწორი შენიშვნაა, აქტიურობა გვმართებს ოპოზიციას, მათ შორის ყველა პოლიტიკურ გაერთიანებას.

***– ლევან, თქვენი ამომრჩეველიც იმედგაცრუებულია. მთავარ ოპოზიციურ ძალად ითვლებით და ლეგენდები დადის უკვე პარტიის შიგნით არსებულ დაპირისპირებაზე. რეალურად რა ხდება დღეს ნაციონალურ მოძრაობაში?***

– კი, ცხადია, ყველა ასეთი ჭორ-მართალი საბოლოოდ აზიანებს პარტიას. მე ზოგადად მაქვს წარმოდგენა, რომ ნაციონალურ მოძრაობას დასაკარგი მხარდამჭერები არ ჰყავს. ნაცმოძრაობა არის ინსტრუმენტი ქვეყნის განვითარების პროცესში, ასევე ინსტრუმენტი ოლიგარქიული რეჟიმის დასამარცხებლად. ამიტომ თითოეული ამომრჩევლის გულისწყრომას მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

***– რა ხდება დღეს თქვენს პარტიაში? კიდევ არის დაპირისპირება? თქვენ და მელიას შორის არსებულ დაპირისპირებაზე უკვე მითები დადის.***

– დაპირისპირება, ცოტა არ იყოს, ხმამაღალი ნათქვამია. პარტიაში განსხვავებული პოზიციები მუდმივად არსებობს. ამ 10 წლის განმავლობაში უამრავმა ქარიშხალმა გადაიარა ჩვენს თავზე. კარგად მესმის ადამიანების ნიჰილიზმისა და უიმედობის. თუმცა ეს მხოლოდ ოპოზიციის დამსახურება ვერ იქნება. როცა ქვეყანაში დიქტატურაა დამყარებული, ასე ხდება ხოლმე. ზოგადად, ოპოზიცია რომ არსებობს, ესეც კი მიკვირს ამათ პირობებში. განსხვავებული პოზიციები ნამდვილად არის პარტიაში. რომ გითხრათ, იქ ყველაფერი დავარცხნილი და დალაგებულია, ასე ნამდვილად ვერ არის საქმე.

***– ამას ჩვენც ვხედავთ უკვე.***

– კი ბატონო, არც ვმალავ. ჭირი თავს ვერ დამალავს. მე მაინც მგონია, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ამ პროცესიდან ნაციონალური მოძრაობა უნდა გამოვიდეს ძლიერი. ნაციონალური მოძრაობა თუ სუსტი იქნება, დამერწმუნეთ, ბიძინა ივანიშვილის დამარცხება შეუძლებელი გახდება. ხალხი კი არ უნდა მოვიმდუროთ, არამედ ყველა უნდა გავაერთიანოთ.

***– ძალიან ცუდ დღეშია დღეს ოპოზიცია. კი, ხელისუფლება ილანძღება, მაგრამ არანაკლებ ილანძღება ოპოზიცია.***

– მესმის, კი ბატონო. როცა ოპოზიცია არ მოქმედებს, მაშინ აქვთ ადამიანებს განცდა, რატომ არ იბრძვიან? იმისთვის, რომ ბრძოლა იყოს,

**„თუ ნაციონალური მოძრაობა სუსტი იქნება, დამერწმუნეთ, ბიძინა ივანიშვილის დამარცხება შეუძლებელი გახდება“**

იმისთვის, რომ დავასუსტოთ ხელისუფლება, პარტიაში რეფორმებია საჭირო, მათ შორის, რეფორმები – მთლიანად ოპოზიციაში. დღეს ჩვენი ნებისმიერი დაპირისპირება კიდევ ერთი ახალი შესაძლებლობაა ივანიშვილისთვის. თუ ნაციონალური მოძრაობა დასუსტდება, დასუსტდებიან სხვა პარტიებიც და, ეს რომ ასეა, ამას ხედავთ ყველა.

***– კიდევ დგას დღის წესრიგში ნიკა მელიას გადაყენების საკითხი?***

– მე მინდა, ერთი რამ მკაფიოდ დაგიდასტუროთ ამ ჭორებთან დაკავშირებით და თამამად გითხრათ, რომ ლევან ხაბეიშვილს პარტია ნაციონალურ მოძრაობაში არანაირი პოლიტიკური თანამდებობა არ აინტერესებს, არც სჭირდება და არც უნდა! რაც შეეხება ნიკა მელიას, პარტიას აქვს თავისი წესდება, ჰყავს არჩეული თავმჯდომარე, შესაბამისად, კონკრეტული გადაწყვეტილებები გუნდურად უნდა იყოს მიღებული, პარტიის შიგნით გამჭვირვალედ და ღიად! ჩემთვის ეს არის მნიშვნელოვანი და არა პერსონალიები, თუ ვინ იქნება თავმჯდომარე. მთავარია, ამ ბრძოლაში ვიყოთ ერთიანები. ჩვენ ამისთვის გვაქვს კიდევ მცირე დრო, რომ მოვახერხოთ სწორად გადაჯგუფება და ბრძოლა ჩვენი ქვეყნისთვის. ბევრი კითხვა დაგროვდა ნაცმოძრაობასთან დაკავშირებით და, დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გაეცემა პასუხი.

# „ნატოსა და ევროპის ინტერესშია, წაართვას პუტინს ბელარუსი“

## „ბირთვული იარაღის გამოყენება პუტინისთვის ყველაზე ხელსაყრელია ბელარუსის ტერიტორიიდან“

მარიამ მჭედლიშვილი

**აშინებთ თუ არა უკრაინასა და მის დასავლელ მოკავშირეებს პუტინის მუქარები ბირთვული იარაღის გამოყენების თაობაზე? როგორ შეიძლება იქცეს მალე ბელარუსი დასავლეთის ნაწილად? რა შეიძლება მოუწყოს პუტინს „ფსბ-ს კოლეგიამ“, რომელიც მასთან ერთად მართავს რუსეთს? — ამ და სხვა საკითხებზე ბელარუსულ თავისუფალ მედიას ესაუბრა ამერიკაში მცხოვრები ცნობილი ისტორიკოსი, პუტინის რუსეთზე დაწერილი წიგნის („ფსბ აფეთქებს რუსეთს“) თანაავტორი იური ფელშტინსკი.**



***— იყო უკრაინის კონტრშეტევები. რუსეთის მიერ უკრაინის ოთხი ოლქის ანექსიის შემდეგაც უკრაინამ მოახერხა „რუსეთის ახალი ტერიტორიების“ ნაწილის ბრძოლით დაბრუნება. ყირიმის ხიდის აფეთქების შემდეგაც რუსეთმა დაიწყო არაბირთვული რაკეტების იერიში. არ ყოფილა ბირთვული პასუხი. მომავალშიც არ გამოიყენებს რუსეთი ბირთვულ იარაღს?***

— ყველაფერში, რასაც პუტინი აკეთებს ბოლო 15 წლის განმავლობაში, პირველ ეტაპზე არის ბლეფი და იმის გათვლა, რომ მოწინააღმდეგე შეშინდება და დანებდება. ყოველთვის ისე ხდება, რომ ბლეფი არ მუშაობს: 2008 წელს საქართველოში შესვლა მოუწია, უკრაინაშიც, იძულებული გახდა, შესულიყო 2014 და 2022 წლებში. არადა, გათვლა იმაზე ჰქონდა, რომ საზღვარზე მდგარი ჯარები მოწინააღმდეგეს დანებებას აიძულებენ. ახლა ბირთვული მუქარებიც ბლეფია, რომელიც არ გაჭრის. ის უკრაინას იარაღს არ დააყრევინებს და არც მის მოკავშირეებს აიძულებს, შეწყვიტონ მისთვის იარაღის მიწოდება.

ომის თითქმის 8 თვის განმავლობაში პუტინმა ფაქტობრივად დაკარგა არმიის პირველი ეშელონი. პუტინი მას დიდი ხნის განმავლობაში აგროვებდა რუსეთისა და ბელარუსის საზღვრებთან და დიდხანს წვრთნიდა. იმას, რაც არმიისგან დარჩა, შეუძლია მხოლოდ შემაკავებელი და სადამსჯელო ფუნქციების შესრულება. შეტევითი მოქმედებებისთვის ეს „ნარჩენები“ არ გამოდგება. 21 სექტემბერს პუტინმა გამოაცხადა დამატებითი, 300.000-კაციანი მობილიზაცია. ეს ხალხი და ამაზე მეტიც საზღვარგარეთ გავიდა. პუტინმა რომ შეაგროვოს კიდეც ახალი არმია, ის ხარისხობრივად ვერ გაუტოლდება განადგურებულ ჯარს.

პუტინი ეცდება, მიიღოს გამაგრება ლუკაშენკოსგან. არა მგონია, აქ სერიოზული წარმატება ელოდეს. მან ან უნდა აღიაროს, რომ ომი წააგო, ან ბოლომდე იაროს. მარცხს პუტინი ვერ აღიარებს მიზეზების ერთობლიობის გამო. ის იფიქრებს, როგორ გამოიყენოს ბირთვული იარაღი. მისი გამოყენება ყველაზე ხელსაყრელია ბელარუსის ტერიტორიიდან.

ამიტომ ევროპის, ნატოსა და უკრაინის ინტერესშია, ბელარუსს მიაყენონ პრევენციული დარტყმები და წაართვან ბელარუსი პუტინს. ლუკაშენკომ შეიძლება გადაწყვიტოს ომში ღიად და ფორმალურად მონაწილეობა. ეს ჩვენთვის ძალიან კარგი იქნებოდა. ლუკაშენკო ფაქტობრივად ამ ომში ისედაც ჩართულია რუსეთის მხარეს. პუტინისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან კიევზე თავდასხმა რუსეთის ტერიტორიიდან შეუძლებელია.

თუ ლუკაშენკო უკრაინაში ბელარუსის ჯარებს გაგზავნის, უკრაინის შეიარაღებული ძალები მათ უკრაინაში უკრაინის შეიარაღებული ძალების მხარეს მებრძოლ ბელარუსულ პოლკებს დაუპირისპირებს. ამ სიტუაციაში ლუკაშენკოს არმია, უბრალოდ, გადავა უკრაინის მხარეს. ლუკაშენკოს ნაწილების უკრაინაში შეტევის შემთხვევაში, ბოლოს და ბოლოს, უკრაინის შეიარაღებულ ძალებს გაეხსნებათ ხელ-ფეხი ბელარუსის სამხედრო ობიექტებზე დარტყმების მისაყენებლად. ეს იქნება ლუკაშენკოს ბოლო.

***— აღმოჩნდება თუ არა ლუკაშენკო ასეთი ბრიყვი და დამოკიდებული?***

— ლუკაშენკოს პრობლემა ისაა, რომ, პუტინისგან განსხვავებით, ის კლასიკური დიქტატორია. ლუკაშენკოს მოშორებით ქვეყანაში რეჟიმი შეიცვლება, ბელარუსი დაბრუნდება ევროპელი ხალხების ოჯახში და შევა ნატოში. ფაქტობრივად, ემიგრაციაში უკვე ჩამოყალიბებულია მთავრობა. არიან პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც ბელარუსის ციხეებში სხედან (ლუკაშენკოს წასვლის შემდეგ ისინი გათავისუფლდებიან). არსებობს ასევე ბელარუსული სამხედრო ნაწილები, რომლებიც დაბრუნდებიან სამშობლოში და ჩაებმებიან ქვეყნის აღდგენაში.

***— შეიძლება თუ არა, პუტინს რუსეთის ფედერაციაში აჯანყება მოუწყონ?***

— პუტინი ერთპიროვნული დიქტატორი არ არის. ქვეყანას მართავს საბჭოთა პოლიტბიუროს მსგავსი ჯგუფი. ეს არ გახლავთ უშიშროების საბჭო ნიკოლაი პატრუშევის მეთაურობით. რუსეთს მართავს ფსბ-ს (უშიშროების ფედერალური სამსახურის) კოლეგია. 2000 წელს პუტინი ხელისუფლებაში მოვიდა, როგორც ფსბ-ს წარმომადგენელი, როგორც მოქმედი რეზერვის ოფიცერი, რომელიც დასვეს პრეზიდენტის თანამდებობაზე. ის ასეთად რჩება. ამ 22 წლის განმავლობაში პუტინი გახდა პირველი თანასწორთა შორის. არ ვარ დარწმუნებული, რომ კოლეგია მას თანამდებობიდან მოხსნის. რუსეთში ახლა ქაოსი და უკანონობის ვაკუუმია. რამზან კადიროვი თავს უფლებას აძლევს, აკრიტიკოს სამხედრო ხელმძღვანელობა; გენერლებს კიცხავს ყველა, ვისაც არ ეზარება; ევგენი პრიგოჟინი კერძო არმიისთვის ადამიანებს აგროვებს მკაცრი რეჟიმის კოლონიებში. თუ ფსბ-ს კოლეგიას პუტინი იმედს გაუცრუებს, მაშინ შეიძლება ის მოკლან ან გაათავისუფლონ და სხვით ჩაანაცვლონ.

# პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით ინვესტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა

— იმედი გვაქვს, რომ წლევანდელ წელს ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით დავასრულებთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. სწორედ ამან მოგვცა მომავალი წლის ბიუჯეტის გაზრდის შესაძლებლობა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ქვეყანას ასევე ჰქონდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა და 2022 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით და შეადგინა 922 მილიონი დოლარი, რაც ასევე ოპტიმიზმის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების გარდა, დღევანდელ სხდომაზე, პრემიერმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებ. ასევე პრემიერ-მინისტრმა საბჭოს წევრებს წარუდგინა მთავრობის ხედვა მომავალ წელს დაგეგმილ ახალ პროექტებზე, ინიციატივებსა და პრიორიტეტებზე.



მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სხდომას ვიცეპრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელი გიორგი ჩერქეზიშვილი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კავკასიის რეგიონული დირექტორი კატარინა ბიორლინ ჰანსენი, დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი, ამერიკის სავაჭრო პალატის პირველი ვიცეპრეზიდენტი საქართველოში ირაკლი ბაიდაშვილი, საქართველოს ბიზნესასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან ვეფხვაძე, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს გენერალური მდივანი ზვიად ჭუმბურიძე, გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე საშა ტერნესი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წარმომადგენელი საქართველოში თეა გიგიბერია, ბიზნესომბუდსმენი ოთარ დანელია, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე, ამერიკის სავაჭრო პალატის აღმასრულებელი დირექტორი საქართველოში ჯორჯ ულტონი, გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების აღმასრულებელი დირექტორი თომას კიმესვენგერი, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს აღმასრულებელი დირექტორი გიორგი კაჭარავა, საერთაშორისო სავაჭრო პალატის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე მაგდა ბოლოთაშვილი, საქართველო-თურქეთის ბიზნესასოციაციის აღმასრულებელი მდივანი ლევან ბოლქვაძე, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს იურიდიული ექსპერტი გიორგი ჯუღელი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს ბიზნესანალიტიკოსი გიორგი ედილაშვილი ესწრებოდნენ.

# გიორგი ვაშაძე: „ბატონო კობახიძე, გზა, რომელიც თქვენ აირჩიეთ, არა ევროპისკენ, არამედ რუსეთისკენ მიდის!“



„სტრატეგია აღმაშენებლის“ თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის განცხადებას ეხმაურება.

გიორგი ვაშაძის თქმით, კობახიძის არჩეული გზა არა ევროპისკენ არამედ რუსეთისკენ მიდის და მისი ბრიუსელში ვიზიტიც საქართველოს საკეთილდღეო საქმეებისთვის ხდება.

— დღეს კანდიდატის სტატუსი რომ არ გვაქვს, მოლდოვისგან განსხვავებით, სწორედ ირაკლი კობახიძისა და პრორუსული „ქართული ოცნების“ ბრალია. ჩვენ ვართ სწორედ ის ერთ-ერთი პარტია, რომელმაც ევროპარლამენტის ერთ-ერთ უმსხვილეს ფრაქციას ALDE-ს მხარდამჭერი რეზოლუცია მიაღებინეთ ჯერ კიდევ ივნისში, მაშინ, როდესაც „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებდა, რომ სტატუსი არ მიგვეღო.

დღესაც, სწორედ პრორუსი „ოცნების“ ცრუ საქმის გამო, შეიძლება დავრჩეთ კანდიდატის სტატუსის გარეშე. პრორუსული „ოცნება“ მიზანმიმართულად არ აკეთებს არცერთ მნიშვნელოვან რეფორმას, რაც 12 რეკომენდაციით არის მოთხოვნილი ევროკომისიის მიერ. სასამართლო სისტემის რეფორმა, საარჩევნო რეფორმა, საკონსტიტუციო ცვლილებები, დეოლიგარქიზაცია, მედიის თავისუფლება — ეს ის ძირეული თემებია, სადაც კობახიძე და „ოცნება“ 12 რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ აკეთებენ ყველაფერს. არაფერს ვამბობ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე.

მიუხედავად პრორუსული „ოცნებისა“ და კობახიძის ასეთი დესტრუქციული საქციელისა, ჩვენი ბრიუსელში ვიზიტის მიზანია, რომ საქართველომ არ დაკარგოს ეს ისტორიული შანსი, რომლის მსგავსი შეიძლება კიდევ ათწლეულები აღარ გვქონდეს.

რეფორმების ჩემპიონის სტატუსიდან საქართველო გახდა მაჩანჩალა ქვეყანა და ამას აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსი ადასტურებს, რომლითაც ევროკავშირი აფასებს ექვს აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყანას. პირველი ადგილიდან საქართველომ გადაინაცვლა ჯამურ მესამე ადგილზე უკრაინის და მოლდოვის შემდეგ, ხოლო ცალკეული ინდექსებით გვისწრებს სომხეთი. ფაქტები და ციფრები მეტყველებს ყველაფერზე.

ბატონო კობახიძე, გზა, რომელიც თქვენ აირჩიეთ ევროპისკენ არ მიდის! თქვენი გზა რუსეთისკენ მიდის! ჩვენი ამოცანაა, ეს არ დავუშვათ და შემოვატრიალოთ საქართველო ევროპისკენ! სწორედ ამიტომ, თქვენგან განსხვავებით, დღესაც საქართველოს საქმეს ვაკეთებთ ბრიუსელში, — აღნიშნავს გიორგი ვაშაძე.

# ბერშუეთიდან ოკუპანტებმა 55 წლის კაცი გაიტაცეს



შიდა ქართლში, სოფელ ბერშუეთიდან, ოკუპანტებმა 55 წლის კაცი გაიტაცეს. შემთხვევა 19 ოქტომბერს, დილით მოხდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მომხდარს ჯერ არ ადასტურებენ.

არსებული ინფორმაციით, დაკავებული ცხინვალის მილიციის იზოლატორშია გადაყვანილი.

# ოკუპანტებმა ბურშტინსკას ატომურ სადგურს დაარტყეს



ოკუპანტებმა ბურშტინსკას ატომურ სადგურს დაარტყეს. ინფორმაციას უკრაინული მედია ივანო-ფრანკოვსკის ოლქის ხელმძღვანელზე დაყრდნობით ავრცელებს. სვეტლანა ონიშჩუკმა მოსახლეობას ელექტროენერგიის დაზოგვისკენ მოუწოდა. ცნობილი ხდება, რომ ადგილზე ცეცხლი უკვე ლიკვიდირებულია.

# გერმანია უკრაინას ეხმარება

რაც უფრო მძაფრდება სიტუაცია უკრაინაში, მით უფრო იზრდება გერმანიის დახმარება. წლის ბოლომდე გერმანია უკრაინას მიაწვდის ჰაუბიცებს, ბმპ-სა და ა.შ.

— ჩვენ უკრაინის გვერდით ვდგავართ, — აცხადებს გერმანიის თავდაცვის მინისტრი ლამბრეხტი.

ამავე დროს, ტანკების მიწოდებაზე გერმანია კვლავაც თავს იკავებს.

# მოსკოვში მობილიზაცია ვადაზე ადრე შეაჩერეს

რუსეთის დედაქალაქში მობილიზაცია ვადაზე ადრე შეაჩერეს.

გამოცემა „მედუზის“ ცნობით, მოსკოვის მილიცია წვევამდელებს პირდაპირ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იჭერდა. შედეგად, ჯარში როგორც ავადმყოფი, ისე 50 წელს გადაცილებული ადამიანებიც მოხვდნენ. ყველაფერმა ამან უკმაყოფილება გამოიწვია. ხელისუფლებაც იძულებული გახდა, უკან დაეხია.

პუტინმა ცადა სახის შენარჩუნება.

— მობილიზაციის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ამიტომ მოსკოვში მობილიზაცია ვადაზე ადრე შევაჩერეთ, — ამბობს დიქტატორი.

# „სკოლის მიმდებარედ მამაკაცი ბავშვებს ფულის სანაცვლოდ გაყოლას სთავაზობდა“ — გარყვნილი ქმედება ქუთაისში




ქუთაისში გარყვნილი ქმედების მცდელობის ბრალდებით მამაკაცი დააკავეს. არსებული ინფორმაციით, შემთხვევა პირველ საჯარო სკოლის მიმდებარედ მოხდა. ამავე ინფორმაციით, საშუალო ასაკის მამაკაცი ბავშვებს თანხის სანაცვლოდ გაყოლას სთავაზობდა, თუმცა ის მანდატურებმა შენიშნეს და სამართალდამცველებთან ერთად ადგილზე დააკავეს.

ადგილობრივების თქმით, აღნიშნული პიროვნება მსგავსი ქმედების ბრალდებით დაკავებული იყო და გირაოთია გათავისუფლებული.

დაკავების ფაქტს ადასტურებს ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, თუმცა განმარტავს, რომ მშობლებში პანიკაა და სხვა გავრცელებული ინფორმაცია არ დასტურდება.

სკოლის მიმდებარედ მამაკაცის დაკავების ფაქტს ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროშიც და აცხადებენ, რომ მიმდინარეობს გამოძიება.

ქუთაისში სკოლებთან უცნობი პირების გადაადგილებისა და ბავშვების გატაცების მცდელობის ფაქტებზე აქტიურად საუბრობენ ბოლო პერიოდში.

მშობლები ამბობენ, რომ სკოლის ჩატებში მათ მასწავლებლები აფრთხილებენ, რომ არ დატოვონ ბავშვები მარტო.

# მამამთილი შვილის გარდაცვალებას რძალს აბრალებს




„ტვ პირველმა“ წყალტუბოში, მამამთილის მიერ რძლის დაჭრის საქმეზე ახალი დეტალები გაარკვია – ადგილობრივების თქმით, ქალი სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად ქმრის საფლავზე იმყოფებოდა, რა დროსაც მას კაცი თავს დაესხა და რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

დაშავებულის მეგობარი ამბობს, რომ მამამთილი რძალს შვილის გარდაცვალებაში ადანაშაულებს:

კაცი შვილის გარდაცვალებას რძალს აბრალებს. ჩემი მეგობარი არაფერ შუაშია. იმ ბიჭს მოუვიდა ავტოსაგზაო შემთხვევა და დაიღუპა. ერთი ჭრილობა, რომ მიაყენა კიდევ იწევდა და რამდენჯერმე გაიწია ამ გოგოსკენ, – აცხადებს დაჭრილის მეგობარი.

„პირველების“ ინფორმაციით, რძალზე მამამთილი ფიზიკურად სისტემატურად ძალადობდა. მის წინააღმდეგ პოლიციას შემაკავებელი ორდერიც ჰქონდა გამოცემული.

შემთხვევა მოხდა ქალის არასრულწლოვანი შვილებისა და მეოთხე სხვა არასრულწლოვნის თანდასწრებით.

ჩემი ინფორმაციით, მასთან ნასვამ მდგომარეობაში მამამთილი მივიდა. კაცი რძალს ეუბნებოდა, სასაფლაოდან გასულიყო და დალაპარაკებოდა, რასაც ქალი არ დათანხმდა, რა დროსაც დაკავებულმა ჯიბიდან სწრაფად ამოიღო საკმაოდ დიდი მოცულობის დანა, რომლითაც გულმკერდის, თავისა და ზურგის არეში დაზიანებები მიაყენა.

2022 წლის 29 აგვისტოს წყალტუბოს რაიონის სამმართველოს გეგუთის პოლიციამ აღნიშნული პირის მიმართ გამოსცა შემაკავებელი ორდერი, – ამბობს ადვოკატი ლევან ჭელიძე.

დაჭრილ ქალს გადაუდებელი დახმარება გუშინვე აღმოუჩინეს. მის სიცოცხლეს ამ ეტაპზე საფრთხე არ ემუქრება.

– აღენიშნებოდა მრავლობითი ნაჩხვლეტი ჭრილობა გულმკერდის, კისრის, სახის მიდამოში. ჩაუტარდა ჭრილობების რევიზია, სისხლდენის შეჩერება. მისი მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია, იმყოფება ქირურგიული დეპარტამენტის პალატაში, – ამბობს ექიმი.

პოლიციამ დანაშაულში ბრალდებული პირი დააკავა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# ხულოში კაცს ხე დაეცა და ადგილზე გარდაიცვალა




ხულოში კაცს ხე დაეცა და ადგილზე გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას TV25 ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, შემთხვევა გუშინ სოფელ ღურტაში მოხდა. გარდაცვლილი 42 წლის კაცია. არსებული ინფორმაციით, ის სოფლის ტერიტორიაზე ხეს ჭრიდა.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცნობით, ექიმებს კაცი ადგილზე გარდაცვლილი დახვდათ.

# თბილისის აეროპორტში არადეკლარირებული მობილური ტელეფონები აღმოაჩინეს




თბილისის აეროპორტში არადეკლარირებული მობილური ტელეფონები აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათი ცნობით, საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა 6 არადეკლარირებული მობილური ტელეფონი ეჭვის საფუძველზე რუსეთის ფედერაციის მოქალაქის კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად აღმოაჩინეს.

საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 17.802,39 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

## მამისგან ფულის გამოძალვის მიზნით მამაკაცმა საკუთარი გატაცება გაითამაშა



ინდოეთის ქალაქ დელის პოლიციამ დააპატიმრა მამაკაცი, რომელმაც საკუთარი გატაცება გაითამაშა და გამოსასყიდის სახით მამისგან მსხვილ თანხას ითხოვდა.

პრემ ჩანდის ნათესავებმა პოლიციაში განცხადება შეიტანეს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მათ დაურეკა შვილმა და აცნობა, რომ ის უცნობმა პირებმა გაიტაცეს. გამტაცებლები თითქოსდა გამოსასყიდის სახით 200 ათას რუპიას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მოკვლით იმუქრებოდნენ.

პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ თითქოსდა გატაცებული ინდოელის მობილური ტელეფონი მუშაობდა და ის ხარიანის შტატის სოფელ დხანკოტში იმყოფებოდა. ადგილზე მისულმა პოლიციელებმა და მამაკაცის ნათესავებმა ჩანდი იპოვეს.

მამაკაცი შეეცადა, ადგილიდან მოტოციკლით მიმალულიყო, მაგრამ პოლიცია მას დაეწია და დააკავა.

დაკითხვის დროს პრემმა აღიარა, რომ მას ფული სჭირდებოდა და ამისთვის საკუთარი გატაცება გაითამაშა, რათა მამისგან გამოსასყიდი თანხა გამოეძალა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სისხლიანი გარჩევა ბათუმის ბულვარში

## დაჭრილია სამი ადამიანი




ბათუმის ბულვარში 3 ადამიანი დაჭრეს – შემთხვევა ბულვარის ცენტრალურ შესასვლელთან მოხდა.

სამივე დაშავებული სასწრაფო დახმარების ბრიგადამ სხვადასხვა კლინიკაში მოათავსა.

# ბათუმში ბავშვს, რომელიც გარე განათების ბოძს შეეხო, დენმა დაარტყა




ბათუმში გვიან ღამით მცირეწლოვანს დენმა დაარტყა – ინფორმაციას ამის შესახებ TV25 ავრცელებს. შემთხვევა ინასარიძის ქუჩაზე მოხდა. არსებული ცნობებით, ბავშვი გარე განათების ბოძს შეეხო, რა დროსაც დენმა დაარტყა.

თვითმხილველების თქმით, ძაბვა, სავარაუდოდ, დაბალი სიმძლავრის იყო და მოზარდის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ბავშვი თავს კარგად გრძნობს.

ადგილზე სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებული.

# კახეთში მეორე კლასის მოსწავლეს თანაკლასელმა ყელის არეში დაზიანება მავთულით მიაყენა



კახეთის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლის მშობელი ამბობს, რომ მის შვილზე ფიზიკური ძალადობა განხორციელდა.

მეორე კლასის მოსწავლის დედის მტკიცებით, ძალადობის გარდა, დღემდე არ წყდება არასრულწლოვნის ბულინგიც.

მშობელი ჰყვება, რომ მის შვილსა და ორ თანაკლასელს შორის კონფლიქტის დროს, ერთ-ერთმა კლასელმა მოზარდს ყელის არეში დაზიანება, მავთულით მიაყენა. დედის მტკიცებით, კლასის დამრიგებელი ისევ დაზარალებულ მოსწავლეს გაუსწორდა და სახეში სილა გაარტყა.

არასრულწლოვნის დედა ამბობს, რომ რეაგირების ნაცვლად, მოსწავლეზე ზეწოლას ახლა უკვე დირექტორიც ახორციელებს და მისი წაქეზებით კლასელები მოზარდს ვიდეოებს უღებენ.

სკოლის დირექტორი და კლასის დამრიგებელი მედიასთან კომენტარს არ აკეთებენ.

მუნიციპალიტეტის რესურცენტრის ხელმძღვანელის განმარტებით, მშობლის მიმართვის საფუძველზე დაწყებულია საქმის წარმოება და საკითხზე რამდენიმე დღეში დისციპლინური კომიტეტი იმსჯელებს.

# ლაშა ფურცხვანიძის ადვოკატი: „დგას მყარად... გაუკვირდა დაკავების ამბავი“



ვაკის პარკში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით დაკავებული პირები გვიან ღამით წინასწარი დაკავების იზოლატორში ადვოკატებმა მოინახულეს.

როგორც „გრინსერვის +“-ის თანამშრომლებისა და კომპანიის დირექტორის, ლაშა ფურცხვანიძის ადვოკატმა განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფები თავს დამნაშავედ არ ცნობენ და არანაირი შემხებლობა დოკუმენტაციის გაყალბებასთან ან არასწორად შესრულებულ სამუშაოებთან არა აქვთ.

– მე შევხვდი ლაშა ფურცხვანიძეს. იგი დგას მყარად, როგორც მართალი კაცი, ის ნამდვილად მართალია. გავესაუბრე, დეტალები გავიარეთ. ჯერ ბრალი და საქმის მასალები არ გადმომცემია და საქმეს დეტალურად ვერ ვიცნობ. უბრალოდ, მას გაუკვირდა დაკავების ამბავი. დღეში სამჯერ მიდიოდა გამოკითხვაზე და თუ დასაკავებელი იყო, მივიდოდა და დააკავებდნენ. რამ გამოიწვია სამსახურში, ოფისში მისი დაკავება, გაუგებარია. ჩვენება ყველაფერი გამოძიებისთვის დეტალურად აქვს მიცემული. იგი თანამშრომლობდა და გააგრძელებს თანამშრომლობას. მისი ბრალეულობა არაფერი არ არის, – აცხადებს ადვოკატი მამუკა ბლიაძე.

უფლებადამცველის ინფორმაციით, პროექტის შეცვლა რამდენჯერმე განხორციელდა, რის შესახებაც ქალაქ თბილისის მერია ინფორმირებული იყო. დასრულების შემდეგ კი შემოწმების სამუშაოები სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

– როგორც ვიცი, პროექტი რამდენიმეჯერ შეიცვალა, მაგრამ რაც შეიცვალა ყველაფერი შეთანხმებული იყო მერიის სამსახურებთან და როცა ცვლილება შედიოდა, იმის მიხედვით ხდებოდა ყველა სამუშაოს განხორციელება. მერიასთან შეთანხმებული იყო, რაც იცვლებოდა, ცვლილების შემდგომ მიმდინარეობდა სამუშაოები. მერე დატესტეს, სამი დღე იმუშავეს, ეს ყველაფერი დაიტესტა, ტელევიზიამაც გადაიღო. ფურცხვანიძე თავის ბრალეულობას ამ საქმეში ვერაფერს ვერ ხედავს. გაოგნებულია თვითონაც, არაფერი პრობლემა არ უნდა შექმნოდა.

ასევე გაოგნებულია „გრინსერვისის“ ორი თანამშრომელი, ვისაც მე ასევე ვიცავ. მათ არანაირი შემხებლობა არ ჰქონიათ, თითქოს ექსპერტები აიძულეს, რომ ყალბი დასკვნა გაეკეთებინათო, ეს აბსურდია, – აცხადებს მამუკა ბლიაძე.

ვაკის პარკში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით შსს-მ ცხრა პირი დააკავა. უწყების ცნობით, დაკავებულთა შორის არიან: თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, შპს „გრინსერვის+“-ის დირექტორი, შპს „გრინსერვის+“-ის საქმის მწარმოებელი და შპს „ნიუ მეტალ დიზაინის“ წარმომადგენელი, „გრინსერვის +“-ის თანამშრომელი, შპს „მშენექსპერტის“ დირექტორი და ამავე კომპანიის ინსპექტორი, აგრეთვე ორი კერძო ელექტროშემდუღებელი.

# მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი კვლავ გადაიდო



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი, რომელიც სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთას ეხება, კვლავ გადაიდო. აღნიშნულის მიზეზი სხდომაზე წარდგენილი ოქმი და კლინიკა „ვივამედიდან“ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა იყო, რომლის მიხედვითაც, სააკაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე სხდომას ვერ დაესწრებოდა.

სასამართლო პროცესზე ადვოკატებმა სხდომის ერთი თვით გადადება მოითხოვეს, ვინაიდან უახლოეს დღეებში სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ვერ გამოსწორდება.

ამასთან, ადვოკატებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი ექსპერტიზის დასკვნასაც ელოდებიან. მოსამართლემ ადვოკატების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და სხდომა 26 ოქტომბერს, 12:00 საათზე დანიშნა.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება გასული წლის პირველ ოქტომბერს დაიწყო. აღნიშნული საქმის ფარგლებში ბრალდება კიდევ 4 პირს – ელგუჯა ცომაიას, ზურაბ და შალვა წოწორიებს და გიორგი ნარიმანიძეს აქვთ წაყენებული და ის ცალკე წარმოებად მიმდინარეობს. აღნიშნული პირები ბრალს აღიარებენ.

# რუსეთმა ტაქტიკა შეცვალა



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. მოსკოვმა უკრაინის ტოტალური დაბომბვა განაახლა. დაიბომბა ქალაქები ხარკოვი, დნეპრი, ნიკოლაევი, ოდესა. რუსული რაკეტები მისწვდნენ კიევს, როვნოს, ტერნოპოლს. ამრიგად, უკრაინის თითქმის მთელი ტერიტორია დაბომბვის ქვეშ მოყვა.

გამონაკლისია კარპატისპირეთი. უკრაინელი ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი ფიქრობს, რომ ეს პუტინსა და უნგრეთის პრემიერ ორბანს შორის მიღწეული მოლაპარაკების შედეგია.

– ის, რომ კარპატისპირეთს ხელი არ ახლეს, უკრაინის დაშლის პუტინისეულ გეგმებში შედის, – ამბობს პორტნიკოვი.

მართლაც, უკანასკნელ ხანს კარპატისპირეთში გააქტიურდნენ ძალები, რომლებიც ამ მხარის უნგრეთთან შეერთებას მოითხოვენ. მათი არგუმენტია, რომ უნგრეთი არა მხოლოდ ევროკავშირისა და ნატოს წევრია; პრემიერმა ორბანმა მიაღწია იმას, რომ მოსკოვთან მას კარგი ურთიერთობები აქვს. შესაბამისად, თუ კარპატისპირეთი უნგრეთის ნაწილი გახდება, ეს მას დაბომბვებისაგან იხსნის.

ასეთ აგიტაციას უკრაინელთა მხრიდან უაღრესად მტრული რეაქცია მოჰყვა. პროუნგრელი აგიტატორები მოედნებიდან ცემა-ტყეპით გააძევეს.

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის აზრით, მოსკოვმა ტაქტიკა სრულიად შეგნებულად შეცვალა. რუსეთი ბრძოლის ველზე ვერას გახდა. დაღუპული რუსი ჯარისკაცების რაოდენობამ უკვე 66.000-ს მიაღწია. წლის ბოლოსათვის ეს ციფრი უკვე 100.000-მდე გაიზრდება. მოსკოვმაც კონტრზომებს მიმართა და შეუდგა ტოტალურ დაბომბვებს.

– მიზანი ცხადია – უკრაინული მოსახლეობის დაშინება, მათი სინათლის, გაზის, გათბობის გარეშე დატოვება, – მიიჩნევენ ამერიკელი ანალიტიკოსები.

კრემლში დარწმუნებულნი არიან, რომ სისხლისაგან დაცლილი, გაბოროტებული უკრაინელები ხელისუფლებაზე ზეწოლას განახორციელებენ და აიძულებენ ზელენსკის, კაპიტულაცია გამოაცხადოს. ჩეჩნეთის პრორუსული რეჟიმის ხელმძღვანელმა კადიროვმა ამის თაობაზე განაცხადა:

– მალე უკრაინელებს შესცივდებათ, მოშივდებათ და სინათლის გარეშე დარჩებიან. ხალხი თავად მოსთხოვს ზელენსკის, რომ რუსეთთან ზავი დადოს!

მოსკოვის ახალ ტაქტიკას ზედმიწევნით მოერგო უკრაინაში რუსული საოკუპაციო ძალების ახალი სარდალი, გენერალი სუროვიკინი. თავისი, როგორც ჯალათის, ხელოვნება მან ჯერ კიდევ ჩეჩნეთის მეორე ომის დროს წარმოაჩინა. სწორედ გენერლის სახელთანაა დაკავშირებული გროზნოს ტოტალური დაბომბვა. სუროვიკინმა თავისი „ტალანტი“ სირიაშიც გამოავლინა. სწორედ მისი ბრძანებით გაასწორეს მიწასთან ქალაქი ალეპო. მარიუპოლის აღებისას სუროვიკინმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი, როგორც ყასბის რეპუტაცია. მარიუპოლი მთლიანად დაანგრიეს. დღეს სუროვიკინს უკვე მთელი უკრაინის განადგურება დაევალა.

– ყოველ ქმედებას უკუქმედება მოსდევსო, ნათქვამია. დაბომბვებსაც უკრაინელებმა საკადრისად უპასუხეს, – აცხადებს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი.

უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები რუსეთის ტერიტორიაზე. დაიბომბა ბელგოროდი, კურსკის ოლქი, ბრიანსჩინა. იმედია, ეს მხოლოდ დასაწყისია და უკრაინელთა კონტრაქციები უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს.

# ბლინკენი: „პუტინი აცნობიერებს, რომ დამარცხდა“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა უკრაინაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მან აღნიშნა, რომ უკრაინელები წარმატებით უმკლავდებიან აგრესორს, რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის დაბომბვა კი რუსეთის სასოწარკვეთილი ნაბიჯია.

– პუტინი აცნობიერებს, რომ დამარცხდა. ამიტომ დაბომბვა მისთვის ერთადერთი შესაძლო კონტრნაბიჯია, – თქვა ბლინკენმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ უკრაინას მომავალშიც დაეხმარება.

– ჩვენ ვეხმარებოდით და მომავალშიც დავეხმარებით უკრაინელებს, – ამბობს ბლინკენი.



# ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ვაშინგტონში გაფრინდა

ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ბენ უოლესი სასწრაფოდ ვაშინგტონში გაფრინდა. ამის შესახებ იტყობინება ბი-ბი-სი.

უოლესი აშშ-ის პირველ პირებს შეხვდება. მოლაპარაკებების უმთავრესი თემაა უსაფრთხოება, აგრეთვე – ევროპასა და უკრაინაში შექმნილი მდგომარეობა.



# ომი უკრაინაში

ტოტალური დაბომბვის მიუხედავად, უკრაინული არმია შეტევებს განაგრძობს. დონბასში უკრაინელები სულ უფრო ავიწროებენ ოკუპანტებს. თვით დონბასელი სეპარატისტების საიტი „რუსსკაია ვესნაც“ კი აღიარებს:

– კრემენნოეს დაცვის ოპერაცია ჩაიშალა! ჩვენი ბიჭები პოზიციებს ჯერ კიდევ ინარჩუნებენ, მაგრამ მათ სულ უფრო უჭირთ! მიუხედავად ამისა, ოკუპანტებმა კვლავ ცადეს შეტევაზე გადასვლა ავდეევკის, პერვომაისკისა და ბახმუტის მიმართულებით. უკრაინელებმა იერიშები მოიგერიეს. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია. განსაკუთრებით ეს მობილიზებულებს შეეხება.

– მობილიზებულები ფრონტზე ყოველგვარი მომზადების გარეშე გაგზავნეს! ისინი ფაქტობრივად საზარბაზნე ხორცია, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

კრიტიკული ვითარებაა ბახმუტთან. ოკუპანტები ცდილობენ ამ ქალაქის ნებისმიერ ფასად აღებას. უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარის ცნობით, პუტინმა გენერალიტეტის წინაშე მოკლე, ლაკონიური ამოცანა დასვა:

– ოქტომბრის ბოლოსათვის ბახმუტი უნდა აიღოთ!

გენერლებიც ამას გულმოდგინედ ცდილობენ. ამით აიხსნება ის მსხვერპლი, რომელსაც რუსეთის არმია განიცდის.

საინტერესო ვითარებაა ხერსონთან. რუსული წყაროების ცნობით, უკრაინული ტანკები უკვე ხერსონის გარეუბნებში შეიჭრნენ. უკრაინელები ამას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ, თუმცა აცხადებენ:

– პუტინი ხერსონის შენარჩუნებას ვერ შეძლებს!

პასუხად რუსეთი უკრაინის მთელ ტერიტორიას ბომბავს. პრეზიდენტ ზელენსკის ცნობით, უკრაინული ენერგოსისტემის 30% აღარ არსებობს. ოკუპანტები მიზანმიმართულად ანგრევენ საცხოვრებელ სახლებს, ხიდებს, თბოელექტროსადგურებს, სკოლებს, სტადიონებსა და ა.შ.

# რა დანაკარგებია რუსი ოკუპანტების რიგებში



რუსი ოკუპანტები უკრაინის წინააღმდეგ ომში კოლოსალურ დანაკარგებს განიცდიან. თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, რუსებმა დაკარგეს:

თვითმფრინავები – 268
ტანკები – 2.548
ბმპ – 5.219
არტილერია – 1.622
ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 188.
განადგურებულია 66.000 ოკუპანტი.

# ესტონეთის პარლამენტმა რუსეთი ტერორიზმის სპონსორ ქვეყნად აღიარა

როგორც ტელეკომპანია „პრიამიი“ იუწყება, ესტონეთის პარლამენტმა რუსეთი ტერორიზმის სპონსორ ქვეყნად გამოაცხადა.

დადგენილებას მხარი 88 დეპუტატმა დაუჭირა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# კვარაცხელია მომავალი წლის ოქროს ბურთის პრეტენდენტებში მოიხსენიეს



მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ვებგვერდმა გოალ.ქომ-მა მომავალი წლის „ოქროს ბურთის“ მაძიებელთა ოცეული დაასახელა. სასიამოვნოა, რომ სიაში მოხვდა ნაპოლის ქართველი ვარსკვლავი ხვიჩა კვარაცხელია, რომელიც ოცეულში მე-15 ადგილზე გავიდა.

**აი, რას წერს ვებგვერდი:**

– დღევანდელ დღეს ევროსეზონის ვარსკვლავი ნაპოლიდან, სადაც მას კვარადონას უწოდებენ. კვარაცხელია სერია ა-სა და ჩემპიონთა ლიგის აღმოჩენაა.

ნაპოლის დღევანდელი შეტევა, რომელიც აღაფრთოვანებს ფეხბურთის გულშემატკივარს, დიდწილად კვარაცხელიას სათამაშო სტილზეა დამოკიდებული.

ის ვერ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატზე და „ოქროს ბურთის“ ამომრჩევლებზე შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, მაგრამ, თუ დღევანდელ ფორმას შეინარჩუნებს, არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ნომინანტთა შორის არ იქნება.

ვებგვერდმა 20 ფეხბურთელი 2022-23 წლების სეზონის სტარტზე ნაჩვენები თამაშით გამოარჩია. სიას პსჟ-ს ფეხბურთელი ლეო მესი ლიდერობს, შემდეგ კი ასევე ამ გუნდის ვარსკვლავები – ნეიმარი და კილიან მბაპე მოდიან.

1.ლიონელ მესი (პსჟ); 2.ნეიმარი (პსჟ); 3.კილიან მბაპე (პსჟ); 4. ერლინ ჰოლანი (სიტი); 5.რობერტ ლევანდოვსკი (ბარსელონა); 6.ვინისიუსი (რეალი); 7.კევინ დე ბრუინი (სიტი); 8.ქარიმ ბენზემა (რეალი); 9.მოჰამედ სალაჰი (ლივერპული); 10.ფილ ფოდენი (სიტი); 11.ჰარი კეინი (ტოტენჰემი); 12.ჯამალ მუსიალა (ბაიერნი); 13.გაბრიელ ჟეზუსი (არსენალი); 14.სადიო მანე (ბაიერნი); 15.ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი); 16.ლეროი სანე (ბაიერნი); 17.რაფაელ ლეაო (მილანი); 18.კოდი გაკპო (პსვ); 19.ფედერიკო ვალვერდე (რეალი); 20.ჯუდ ბელინგამი (დორტმუნდი).

# მადრიდში ოქროს ბურთის შედეგებს აკრიტიკებენ



პარიზში გამართული „ოქროს ბურთის“ გამარჯვებული საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის რეალის შემტევი ქარიმ ბენზემა გახდა. მიუხედავად ამისა, მადრიდში გამოკითხვის შედეგებით გაოგნებულები არიან.

მადრიდში ფიქრობენ, რომ გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგისა და შინაური პირველობის მომგები გუნდის ზოგიერთ ფეხბურთელს ფინალურ ათეულში ბევრად უკეთესი პოზიცია ეკუთვნოდა.

მაგალითად მოჰყავთ ის, რომ ტიბო კურტუა მე-7 ადგილზეა, ხოლო მას ვინისიუს ჟუნიორი და ლუკა მოდრიჩი მოსდევენ. ეს, იმის მიუხედავად, რომ სამივეს ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა. ამ სამეულზე წინ არიან სადიო მანე, რობერტ ლევანდოვსკი, მოჰამედ სალაჰი და კილიან მბაპე.

მადრიდელთა კიდევ უფრო გასაკვირად, წლის გუნდის ნომინაციაში რეალი მესამე ადგილზე გავიდა ბრიტანული გუნდების – მანჩესტერ სიტისა და ლივერპულის შემდეგ. არადა, ერთს ნახევარფინალში სძლია, მეორეს – ფინალში. პლუს ამას, რეალმა მოიგო ლა ლიგაც მაშინ, როცა ლივერპული შინაურ ჩემპიონატშიც კი მეორე იყო, მაგრამ ინგლისის ლიგისა და ასოციაციის თასები მოიგო.

**კურტუამ, რომელსაც ლევ იაშინის სახელობის ჯილდო გადაეცა, ესპანურ მედიასთან ღიად გამოხატა უკმაყოფილება:**

– რა თქმა უნდა, ძალიან გახარებული ვარ ქარიმ ბენზემას გამარჯვებით. არ ვამბობ, რომ მე უნდა მომეგო „ოქროს ბურთი“, მაგრამ, გასაკვირია, რომ სამეულშიც ვერ მოვხვდი, მაშინ, როცა ჩემპიონთა ლიგაც მოვიგე და ლა ლიგაც...

როგორც ჩანს, გოლის გატანა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბურთების მოგერიება. ვხედავ „ამ ლოგიკას“ და ვიცი, როგორც ხდება ხმის მიცემა. ისიც ვიცოდი, რომ შანსი არ მექნებოდა...

ვინ შეიძლება მოიგოს მომავალში? მიმაჩნია, რომ დღევანდელი გადასახედიდან ეს შეუძლებელია. არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს მეკარემ იმაზე მეტი, რასაც გასულ სეზონში მივაღწიე.

**კურტუას მხარი დაუჭირა კოლეგამ და რეალის ლეგენდა იკერ კასილიასმა:**

– ტიბო ძალიან დიდი სხვაობით სჯობს სხვა მეკარეებს და ეკუთვნის კიდეც ეს ჯილდო... მაგრამ, ძალიან მწყინს, რომ ის ვერ ვიხილე პოდიუმზე. დღემდე ვერ გავიგე, რით ხელმძღვანელობს ის ხალხი, ვინც გამარჯვებულებს ირჩევს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# მოტაცებულმა გოგონამ 20 დღე ძაღლების გალიაში გაატარა



ფილიპინებში ღამის გასეირნების დროს გატაცებული ჩინელი გოგონა გამტაცებლებს 20 დღე ძაღლების გალიაში ჰყავდათ გამომწყვდეული.

ჩინეთის ქალაქ შანხაის მკვიდრი გოგონა, რომლის ვინაობა მისი უსაფრთხოებისთვის არ სახელდება. 17 სექტემბერს პამპანგას პროვინციაში მეგობარ გოგონასთან ერთად გასართობად კლუბში წავიდა. თვითმხილველის თქმით, რაღაც მომენტში გოგონა თეთრ ტოიოტაში ჩასვეს და წაიყვანეს, მალე კი მის მეგობარს გამოუგზავნეს ვიდეო, რომელზეც ასახული იყო, თუ როგორ სცემდნენ გატაცებულ გოგონას ბეისბოლის ჯოხით. გამტაცებლები გამოსასყიდის სახით 200 ათას დოლარს მოითხოვდნენ. შეშინებულმა ახალგაზრდამ დახმარებისთვის პოლიციას მიმართა. 6 ოქტომბერს პოლიციელებმა დაკარგული გოგონა ერთ-ერთ მალაზიაში აღმოაჩინეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. გაირკვა, რომ 20 დღის განმავლობაში ის ძაღლების გალიაში იყო გამომწყვდეული. პოლიციელებმა იმ ადგილს მიაკითხეს, სადაც გოგონა ჰყავდათ დამწყვდეული, მაგრამ იქ ვერავინ აღმოაჩინეს.

მომხდარის გამოძიება გრძელდება, ხოლო თუ როგორ დააღწია ტყვეობას თავი გოგონამ, უცნობია.

# ძაღლმა პატრონი მძარცველებისგან იხსნა და კატები ცეცხლიდან გამოიყვანა



სასამსახურო ძაღლი, სახელად სტრომი, ორი გმირული საქციელისთვის მედლით დააჯილდოვეს.

სტრომის პატრონმა, დიდი ბრიტანეთის ქალაქ ლივერპულის მკვიდრმა 64 წლის კარენ კროსბიმ, განაცხადა, რომ 2019 წელს მისმა ძაღლმა ის მის სახლში შეჭრილი მძარცველებისგან იხსნა. ალასკური მალამუტის ჯიშის ძაღლმა იგრძნო, რომ სახლში უცხო ადამიანები იმყოფებოდნენ. მან ისინი სახლიდან გაყარა და აიძულა, მოპარული ნივთები ადგილზე დაეტოვებინათ.

მოგვიანებით, მიმდინარე წლის მაისში, სტრომმა კროსბის ალმოდებული სახლიდან ორი კატა გამოიყვანა. როდესაც სახლი ბოლით გაივსო, ძაღლმა კატები ფანჯრიდან გარეთ გამოიყვანა, თავად კი უკანვე შებრუნდა და მაშველებს სხვა ოთახში დაელოდა.

– პოლიციელი ისეთი გაოცებული იყო, რომ მან თავად წაიყვანა სტრომი შესამოწმებლად ვეტერინართან იმაში დასარწმუნებლად, ძაღლს რაიმე დაზიანება ხომ არ ჰქონდა მიღებული. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი ერთი ნაბიჯითაც კი არ მოშორებია და განაცხადა, რომ ის პოლიციის ძაღლივით ჭკვიანი იყო, – განაცხადა კროსბიმ.

ცხოველთა დაცვის საქველმოქმედო ორგანიზაციამ სტრომი მამაცობისთვის მედლით დააჯილდოვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შედეგები

## 18 ოქტომბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-ნოტინგემი ........................ 0:0
კრ.პალასი-ვულვზი .......................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 10 | 9 | 0 | 1 | 24-10 | 27 |
| 2.სიტი | 10 | 7 | 2 | 1 | 33-10 | 23 |
| 3.ტოტენჰემი | 10 | 7 | 2 | 1 | 22-10 | 23 |
| 4.ჩელსი | 9 | 6 | 1 | 2 | 15-10 | 19 |
| 5.მანჩესტერი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-15 | 15 |
| 6.ნიუკასლი | 10 | 3 | 6 | 1 | 17-9 | 15 |
| 7.ბრაიტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 14-11 | 15 |
| 8.ლივერპული | 9 | 3 | 4 | 2 | 21-12 | 13 |
| 9.ბრენტფორდი | 10 | 3 | 4 | 3 | 18-17 | 13 |
| 10.ბორნმუთი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-22 | 13 |
| 11.ფულემი | 10 | 3 | 3 | 4 | 16-20 | 12 |
| 12.კრ.პალასი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-13 | 11 |
| 13.ვესტ ჰემი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-11 | 11 |
| 14.ევერტონი | 10 | 2 | 4 | 4 | 8-11 | 10 |
| 15.ლიდსი | 9 | 2 | 3 | 4 | 11-13 | 9 |
| 16.ასტონ ვილა | 10 | 2 | 3 | 5 | 7-13 | 9 |
| 17.ვულვზი | 11 | 2 | 3 | 6 | 5-14 | 9 |
| 18.საუთჰემპტონი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-18 | 8 |
| 19.ნოტინგემი | 11 | 1 | 3 | 7 | 7-23 | 6 |
| 20.ლესტერი | 10 | 1 | 2 | 7 | 15-24 | 5 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ნორვიჩი-ლუთონი ........................... 0:1
სუონსი-რედინგი ........................... 3:2
ჰადერსფილდი-პრესტონი ............... 0:1
ბლექბერნი-სანდერლენდი .............. 2:0
ვესტ ბრომვიჩი-ბრისტოლი ............. 0:2
სტოკი-როტერჰემი ........................ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სევილია-ვალენსია ......................... 1:1
ხეტაფე-ბილბაო ............................ 2:2
ატლეტიკო-რაიო ........................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 9 | 8 | 1 | 0 | 22-8 | 25 |
| 2.ბარსელონა | 9 | 7 | 1 | 1 | 21-4 | 22 |
| 3.ატლეტიკო | 10 | 6 | 2 | 2 | 16-8 | 20 |
| 4.ბეტისი | 9 | 6 | 1 | 2 | 13-6 | 19 |
| 5.სოსიედადი | 9 | 6 | 1 | 2 | 15-12 | 19 |
| 6.ბილბაო | 10 | 5 | 3 | 2 | 19-8 | 18 |
| 7.ვილიარეალი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-3 | 15 |
| 8.ვალენსია | 10 | 4 | 3 | 3 | 17-11 | 15 |
| 9.ოსასუნა | 9 | 4 | 1 | 4 | 9-10 | 13 |
| 10.რაიო | 10 | 3 | 3 | 4 | 11-13 | 12 |
| 11.სევილია | 10 | 2 | 4 | 4 | 10-15 | 10 |
| 12.სელტა | 9 | 3 | 1 | 5 | 10-16 | 10 |
| 13.მალიორკა | 9 | 2 | 3 | 4 | 7-10 | 9 |
| 14.ესპანიოლი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-16 | 9 |
| 15.ხეტაფე | 10 | 2 | 3 | 5 | 10-18 | 9 |
| 16.ხირონა | 9 | 2 | 2 | 5 | 12-15 | 8 |
| 17.ვალიადოლიდი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-13 | 8 |
| 18.ალმერია | 9 | 2 | 1 | 6 | 8-15 | 7 |
| 19.კადისი | 9 | 1 | 3 | 5 | 4-17 | 6 |
| 20.ელჩე | 9 | 0 | 3 | 6 | 6-21 | 3 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

შარლერუა-კორტრაიკი .................. 2:2
ეუპენი-ლეუვენი ........................... 4:2
გენკი-ვესტერლო .......................... 6:1
სერენი-სერკლი ............................ 0:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ლვოვი-ვერესი ............................. 1:3
ოლექსანდრია-კრივბასი ................ 2:0

# დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში თსუ და კავკასია ითამაშებენ

**ქუთაისი-თსუ 73:95**
**(16:24, 18:22, 19:26, 20:23)**



დუდუ დადიანის მემორიალის პირველი ფინალისტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდია. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა შეგირდებმა დარიანი ამინდის გამო ოლიმპიურ სასახლეში დაბრუნებული ტურნირის ნახევარფინალში ქუთაისი დაამარცხეს – 95:73. კოტე ტუღუშის გუნდმა, რომელიც ბოლო წლებში თითქმის ყველა ტიტულის მოსაგებადაა შემართული და, შემადგენლობიდან გამომდინარე, ამის სამართლიანი ამბიციაც აქვს, უნივერსიტეტელებთან მატჩი უშანსოდ წააგო.

თსუ-ს ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და საკმაოდ კარგი გუნდია, თუმცა ნახევარფინალურ მატჩში გუნდმა სოლიდური დახმარება მიიღო ახალწვეულ გიორგი ცინცაძისგან, რომელმაც თსუ-ს შემადგენლობაში ამ სეზონში პირველად ითამაშა და ჩვეული ოსტატობით გუნდს გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. ცინცაძემ, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი და რეკორდსმენია (201 მატჩი), ტუნისურ მონასტირთან კონტრაქტი გაწყვიტა და საქართველოში დაბრუნდა. ცინცაძე თსუ-ში წინა სეზონში ირიცხებოდა, მაგრამ სწორედ დუდუ დადიანის მემორიალზე მიღებული ტრავმის გამო მთელი სეზონი გაუცდა. სადღეისოდ ცინცაძეს თსუ-სთან კონტრაქტი არ გააჩნია, მაგრამ დუდუ დადიანის მემორიალზე, როგორც საერთაშორისო საზომით არაოფიციალურ ტურნირზე, თამაში შეუძლია. დარჩება თუ არა ეროვნული ნაკრების გამთამაშებელი თსუ-ში, რამდენიმე დღეში გაირკვევა.

ცინცაძემ არასრული 26 წუთი ითამაშა და 10 ქულა, 8 პასი, 5 მოხსნა და 4 ჩაჭრა მოაგროვა. თუ ის გუნდში დარჩა, ეს სტატისტიკა კიდევ უფრო გაუმჯობესდება და სუპერლიგას ცინცაძის სახით დიდი კლასისა და გამოცდილების კალათბურთელი შეემატება. შედეგიანად ითამაშა ამერიკელმა ლეგიონერმა ებრიან ედვარდსმა, რომელმაც 21 ქულა, 8 პასი, 5 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა. საერთო სარგებლიანობით საუკეთესო იყო ბექა ბექაური, რომელმაც, 22 ქულასთან ერთად, 9 მოხსნაც მიითვალა. ქუთაისელთაგან საუკეთესოდ ითამაშა ლუკა მაზიაშვილმა – 22 ქულა, 8 პასი. ჯარვის რეის ანგარიშზე 23 ქულა დაგროვდა.

**კავკასია-რუსთავი 90:79**
**(24:22, 19:16, 27:22, 20:19)**

მემორიალის ფინალში გასულ თსუ-ს სუპერლიგის დებიუტანტი კავკასია შეუერთდა. ბექა წივწივაძის შედარებით ახალშექმნილმა გუნდმა საქართველოს ყველა ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე რუსთავი დაამარცხა, თანაც ისე, რომ დიდად არ გასჭირვებია. კავკასიელები უმეტესწილად ლიდერობდნენ, ბოლოს კი ხელჩასაჭიდ უპირატესობას დაეპატრონნენ და გამარჯვებამდეც იოლად მივიდნენ – 90:79.

რუსთაველებმა მიმდინარე ტურნირზე მეორე მატჩი წააგეს. პირველად ქვემოქართლელები ჯგუფში ქუთაისთან დამარცხდნენ, მაგრამ ნახევარფინალში მეორე ადგილიდან, ბურთების უკეთესი შეფარდების ხარჯზე გავიდნენ. კავკასიამ კი ჯგუფში დიდი ბრძოლები გადაიტანა – სამივე მეტოქეს – ტიტებს, ვერასა და ოლიმპს – დაძაბულ ორთაბრძოლაში სძლია და ნახევარფინალში გავიდა.

კავკასიელებმა ყველაზე დამაჯერებლად სწორედ ნახევარფინალი ითამაშეს და მეტოქეს ისე მოუგეს, ბოლო წუთები დაძაბული არ ყოფილა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ კავკასიელები პროგრესირებენ და სუპერლიგის ახალ სეზონს, რომელიც 23 ოქტომბერს იწყება, კარგ ფორმაში ხვდებიან.

რუსთავთან მოგებულ მატჩში წივწივაძის გუნდმა მესამე პერიოდში ტემპსა და სიზუსტეს უმატა, რაც ანგარიშზეც აისახა და კავკასიელთა ლიდერობამ 10 ქულას გადააჭარბა. რუსთაველთა მწვრთნელი ანატოლი ბოისა შეეცადა, რომ წუთშესვენებებითა და ტაქტიკის ცვლილებით ვითარება გამოესწორებინა, მაგრამ მეტოქემ გამართული თამაშით ამის საშუალება არ მისცა.

გამარჯვებულებს 22 ქულით ლევან გოგიჩაიშვილმა ულიდერა. 17 ქულა კრის მაკნილმა დააგროვა, ლევან ქვარცხავასა და ჯასტინ ფოსტერის ანგარიშზე კი 13-13 ქულა დაგროვდა. რუსთაველთაგან 16 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო ანზორ ნადირაძე.

# ლევან კობიაშვილი: „საქართველოში შედეგის ჩვენების რესურსი გვაქვს“




2023 წლის ივნის-ივლისში საქართველო და რუმინეთი 21-წლამდელ ფეხბურთელთა შორის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებენ. გახსნა რუმინეთში იქნება, ფინალი – ბათუმში. ევროპის ჩემპიონობისთვის 16 გუნდი იბრძოლებს.

**ლევან კობიაშვილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:**

– ჩვენი ქვეყნისთვის მსგავსი მასშტაბის ღონისძიების მასპინძლობა ნამდვილად განსაკუთრებულია. ცხადია, ის ფაქტი, რომ ევროპის ერთ-ერთი პრესტიჟული სანაკრებო ღონისძიება საქართველოში იმართება, ჩვენ მიმართ უდიდესი ნდობის გამოხატულებაა. ჩემპიონატისთვის მზადება როგორც საორგანიზაციო კუთხით, ისე ინფრასტრუქტურული პროექტების თვალსაზრისით აქტიურად მიმდინარეობს. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები მოახლოებული ჩემპიონატისთვის ემზადება. გუნდს აქვს სურვილი და, ვფიქრობ, რესურსიც, რომ ევროპირველობაზე შედეგიანად ითამაშოს, მით უმეტეს – საკუთარ ქვეყანაში.

ჩვენი ახალგაზრდები სხვადასხვა ევროპულ ლიგაში საკმაოდ წარმატებით თამაშობენ. ეს ფეხბურთისადმი გულშემატკივრებში ინტერესს კიდევ უფრო ზრდის. ამას გარდა, სხვადასხვა ევროპული ნაკრებიდანაც საქართველოში უამრავ ახალგაზრდა ვარსკვლავს ველოდებით. ქვეყნის მასშტაბით იქმნება ახალი ინფრასტრუქტურა, რაც ფეხბურთის პოპულარიზაციას, გოგონათა და ბიჭების ჩართულობას ჩვენთვის ყველასთვის საყვარელ სპორტის სახეობაში ხელს შეუწყობს.

ალექსანდრე იაშვილი, ევრო 2023-ის ელჩი:

– ვულოცავ ჩემპიონატის ყველა მონაწილე ნაკრებს ფინალურ ეტაპზე გასვლას. განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, საქართველოს გამოვყოფ, რომელიც დებიუტანტი იქნება ევრო 2023-ზე. ჩვენ ქვეყანაში დიდი მოლოდინია. გულშემატკივრები ევროპული ფეხბურთის ამჟამინდელ და მომავალ ვარსკვლავებს ელოდებიან. მიხარია, რომ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე ნამდვილი საფეხბურთო გარემო შეიქმნება მომავალი წლის ზაფხულში. ახალგაზრდები უდიდეს გამოცდილებას მიიღებენ, რაც, დარწმუნებული ვარ, წარმატების მიღწევაში აუცილებლად დაეხმარებათ. მიხარია, რომ ძლიერი ჯგუფი შეგვხვდა. ბელგია, პორტუგალია და ნიდერლანდები წამყვანი ნაკრებები არიან. ვფიქრობ, რომ ჩვენი მაყურებლისთვის საინტერესო თამაშები იქნება. ჩვენი მიზანია, წარმატებას მივაღწიოთ და ჩვენს გულშემატკივარს სიამოვნება და სიხარული მოვუტანოთ.

გაიმართა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრაც და საქართველოს ნაკრები ა ჯგუფში ბელგიასთან, ნიდერლანდებთან და პორტუგალიასთან ერთად მოხვდა.

**სხვა ჯგუფები ასე გადანაწილდა:**

**ბ ჯგუფი:** რუმინეთი, უკრაინა, ხორვატია, ესპანეთი;

**ც ჯგუფი:** ჩეხეთი, ისრაელი, ინგლისი; გერმანია;

**დ ჯგუფი:** ნორვეგია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი;

ორი ჯგუფის (ა და ც) მატჩები საქართველოში გაიმართება, ორიც (ბ და დ) – რუმინეთში. საქართველო, ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში, ფლეი ოფის ყველა მატჩს საკუთარ მოედანზე ჩაატარებს. ანალოგიურად იქნებიან რუმინელები, ფინალის გარდა.

ბათუმის აჭარაბეთ არენა ც ჯგუფის 3 თამაშს, ნახევარფინალსა და ფინალს უმასპინძლებს;

ქუთაისის რამაზ შენგელია ც ჯგუფის 3 თამაშსა და მეოთხედფინალს უმასპინძლებს;

თბილისის მიხეილ მესხი ა ჯგუფის 3 თამაშსა და მეოთხედფინალს უმასპინძლებს;

თბილისის დინამო არენა ა ჯგუფის 3 თამაშს მხოლოდ საქართველოს ნაკრების მონაწილეობით უმასპინძლებს.

საქართველოს ნაკრების ჯგუფის კალენდარი ასეთია:

**21 ივნისი**

თბილისი. დინამო არენა. საქართველო-პორტუგალია;

თბილისი. მიხეილ მესხი. ბელგია-ნიდერლანდები;

**24 ივნისი**

თბილისი. დინამო არენა. საქართველო-ბელგია;

თბილისი. მიხეილ მესხი. პორტუგალია-ნიდერლანდები;

**27 ივნისი**

თბილისი. დინამო არენა. ნიდერლანდები-საქართველო;

თბილისი. მიხეილ მესხი. პორტუგალია-ბელგია;

ქუთაისსა და ბათუმში გასამართი ჯგუფის მატჩების განრიგი კი ასეთია:

**22 ივნისი**

ქუთაისი. რამაზ შენგელია. გერმანია-ისრაელი;

ბათუმი. აჭარაბეთ არენა. ჩეხეთი-ინგლისი;

**25 ივნისი**

ქუთაისი. რამაზ შენგელია. ინგლისი-ისრაელი;

ბათუმი. აჭარაბეთ არენა. ჩეხეთი-გერმანია;

**28 ივნისი**

ქუთაისი. რამაზ შენგელია. ისრაელი-ჩეხეთი;

ბათუმი. აჭარაბეთ არენა. ინგლისი-გერმანია.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# სამგლოვიარო განცხადებები

თსსუ აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნატო ლომთაძეს მეუღლის

**სოსო რატიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 2. საესტრადო სიმღერების შემსრულებელი ქართული დუეტი; 3. სასამართლო განაჩენის გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში; 4. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 7. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. გერმანული პარფიუმერიული ფირმა; 12. მოძრავი კიბე; 14. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო სივრცე; 15. ქსოვილების დამზადების ოსტატი; 17. რაიმეს დამადასტურებელი დოკუმენტი; 20. ქიმიური ელემენტი, უფერო, უსუნო აირი.

**თარაზულად:** 5. რაიმეს გაგების, შესწავლის სურვილი; 6. ქალის სასიმღერო ხმა; 8. ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია გაკოტრების პირას მისული კომპანიების, ბანკების გადარჩენა; 10. შეძენილი ჭკუასუსტობა; 11. მოგონილი, შეთხზული რამ; 13. ტროპიკული ხილი; 16. მოკლელულიანი შაშხანა; 18. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 19. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 21. პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი; 22. თურქეთის პრეზიდენტი; 23. სარეკლამო პლაკატი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პიგმალიონი; 2. კულუხი; 3. გრდემლი; 4. ბლიცი; 5. სტროენი; 6. ზუთხი; 7. ჰანტელი; 9. კაზუსი; 13. გაუდი; 17. ყუმი; 18. კია.

**თარაზულად:** 1. პარსეკი; 3. გალები; 8. ჩიხურა; 10. ყურძენი; 11. ფანზა; 12. ნიამორი; 14. ფიესტა; 15. ამირანი; 16. ნიყვი; 19. სედანი; 20. დიადემა; 21. მულინე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სუფლიორი; 2. ნაღმი; 3. იმბეცილი; 4. ჰენესი; 7. შნეკი; 9. ბელგა; 12. ბრიჯსტოუნი; 14. ქორალი; 15. მეეზოვე; 17. გუანაკო; 20. ოხორი.

**თარაზულად:** 5. კუროსავა; 6. დემბელე; 8. სამსუნი; 10. მოკასინი; 11. ბრუნეი; 13. კაიზერი; 16. ბარიტონი; 18. კურსი; 19. გესლი; 21. სხალთა; 22. ავადჰარა; 23. ტოსკანა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7660

ევრო — 2.7087

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1140

100 რუსული რუბლი — 4.4694

## ამინდის პროგნოზი 20 ოქტომბრისათვის




## გიორგი მამარდაშვილმა სევილიასთან შესანიშნავი მატჩი ჩაატარა



ვალენსიის ქართველმა მეკარე გიორგი მამარდაშვილმა სევილიის წინააღმდეგ შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა და საკუთარი გუნდი რამდენჯერმე აშკარა გოლს გადაარჩინა. საბოლოოდ სევილიამ მაინც მოახერხა გოლის გატანა, თუმცა მამარდაშვილი ამ გოლში საერთოდ არ იყო დამნაშავე. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა, რაც ვალენსიისთვის არცთუ კარგი შედეგია, რადგან გუნდს გამარჯვება სჭირდებოდა.

## ანჩელოტი: „ბენზემამ ოქროს ბურთი დაიმსახურა“

კარლო ანჩელოტიმ კარიმ ბენზემაზე ისაუბრა და თქვა, რომ მან ოქროს ბურთი დაიმსახურა და დღეს ის მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია. ანჩელოტის აზრით, ბენზემას კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ფეხბურთში: „ძალიან მიხარია, რომ ბენზემამ ოქროს ბურთი მოიგო და მინდა, მას მთელი გულით მივულოცო, რადგან ის ამას იმსახურებს. ბედნიერი ვარ, რომ მასთან ერთად მუშაობა მიწევს“.

## დემბელე ბარსელონის დატოვებას არ აპირებს



ბოლო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაძლოა უსმან დემბელემ ბარსელონა დატოვოს, თუმცა ეს ჭორები თვითონ დემბელემ უარყო, რომელმაც თქვა, რომ ის ბარსელონაში ბედნიერია და წასვლას არ აპირებს. უსმანმა ასევე ბარსელონაზეც ისაუბრა და თქვა, რომ ბოლო პერიოდში გუნდს არ უმართლებს და ცუდი შედეგებიც სწორედ ამის ბრალია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## სამმეტრიანი ნიანგი წყლიდან ამოხტა და მამაკაცს თავზე უკბინა



ავსტრალიის დასავლეთ ავსტრალიის შტატის კიმბერლის ოლქში კიბორჩხალებზე მონადირეს წყლიდან ამომხტარმა ნიანგმა თავზე უკბინა.

ორი მამაკაცი კიბორჩხალების დაჭერითა და შეგროვებით იყო დაკავებული. ისინი მომცრო ნავით პოპულარული ტურისტული ღირსშესანიშნაობის – ჰორიზონტალურ ჩანჩქერებთან მოძრაობდნენ. მოულოდნელად წყლიდან სამმეტრიანი ნიანგი ამოხტა და ერთ-ერთ მათგანს თავში კბილებით ჩააფრინდა. მეორე მამაკაცი არ დაიბნა, დანა აიღო და რეპტილიას თავში ჩაარტყა. ამან რეპტილია აიძულა, ყბები გაეხსნა და მამაკაცისთვის პირი გაეშვა.

ნიანგისგან დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას ინციდენტის შედეგად სერიოზული დაზიანებები აქვს მიღებული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



20 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– გიგი, ორი ტომარა რომ იპოვო, ერთი – ჭკუით, მეორე – ოქროთი სავსე, რომელს აიღებდი?

– ოქროს.

– აი მე კი – ჭკუას.

– რა თქმა უნდა, ყველა იმას ამჯობინებს, რაც აკლია.

●●●

ტელეფონის ზარი:

– ალო, მე თეა მქვია და ზოოპარკიდან ნიანგი მოვიპარე.

– ბოდიშით, მაგრამ ეს ანონიმი ალკოჰოლიკების საზოგადოებაა.

– თქვენ რა, ფიქრობთ, რომ ფხიზელი ვიყავი?

●●●

წყვილმა რესტორანში ისადილა. გოგონამ ოფიციანტს უხმო და ფულის გადახდას აპირებს. ამ დროს ბიჭი ეუბნება:

– საყვარელო, არ გინდა, მე გადავიხდი, შენ მხოლოდ ფული მომეცი.

●●●

დილაა. წყვილი საწოლში წევს. ქალი კაცს ეუბნება:

– ძვირფასო, დამესიზმრა, რომ ფეხმძიმედ ვარ!

– ჰმ, ექიმს გაესინჯე......

– ვიყავი და სიხარულისგან ლამის შევიშალე!

– ფსიქიატრსაც გაესინჯე...

●●●

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

– რა არის „დიპლომატია“?

– დიპლომატია იმის ხელოვნებაა, რომ იძახო ფრაზა „კარგი ცუგა“ მანამდე, სანამ ხელში კარგი ჯოხი არ მოგხვდება.

●●●

მეზობელი ქალი მეზობელ მამაკაცს ეკითხება:

– რატომ არ შემოდიხართ?

– კი მაგრამ, თქვენ ხომ უარი მითხარით...

– კატეგორიული უარი ხომ არ მითქვამს...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ვახო ბიჭიკაშვილი კულინარიულ შოუს იწყებს



იუმორისტი ვახო ბიჭიკაშვილი იუმორისტულ შოუს იწყებს. მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „ფორმულას“ კულინარიულ შოუში „სამზარეულოს ომები“ ვახომ გამარჯვება მოიპოვა, გადაწყვიტა, იუთუბ არხზე საკუთარი გადაცემა ჰქონდეს.

ინტერნეტში შეიქმნა სპეციალური არხი, სადაც ვახო ბიჭიკაშვილის შოუს ყურება ნებისმიერ მსურველს შეეძლება. მისი კულინარიული გადაცემის სტუმრები იქნებიან ცნობილი ადამიანები გემრიელი კერძებით.

## ნინო ხარატიშვილმა სამეფო უბნის თეატრში ახალი სპექტაკლი დადგა



მწერალმა და რეჟისორმა ნინო ხარატიშვილმა გერმანიიდან საქართველოში გადმოინაცვლა და სამეფო უბნის თეატრში ახალი სპექტაკლი დადგა.

„ფედრა ცეცხლის ალში“ – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელიც ნინო ხარატიშვილის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით დაიდგა და მისი მსოფლიო პრემიერა 28 ოქტომბერს სამეფო უბნის თეატრში გაიმართება.

ფედრა, ათენის მეფის თეზევსის ცოლი, დაიღალა. დაიღალა წლების განმავლობაში საკუთარი სურვილების შენიღბვით, ხალხის სიყვარულით განებივრებული დედოფლის როლის თამაშითა და შორეულ წარსულში მინოტავრის დამმარცხებელი გმირი მეუღლის ჩრდილში ყოფნით. თითქოს ადგილს ვეღარ პოულობს, მხოლოდ ქმრის დანამატ სამკაულად გრძნობს თავს. სასახლის მტკიცე გალავნითაა გარშემორტყმული და ჩიხში ექცევა. სამეფოში ახალი სარძლოს, მომხიბვლელი პერსეას გამოჩენით კი ყველაფერი თავდაყირა დგება. ფედრა თითქოს ლაბირინთში ეხვევა და ხანგრძლივი ძილის შემდეგ ფხიზლდება, უფრო და უფრო თამამდება, ახსენდება ის, რაც უკვე დიდი ხანია დაავიწყდა: საკუთარი თავი. ძალაუფლებისთვის ბრძოლით შეპყრობილი რელიგიური და სახელმწიფო მმართველების ხელში ფედრას ბედნიერების ძიება მომაკვდინებელ იარაღად იქცევა, – ბერძნული მითის თანამედროვე ინტერპრეტაციით, მწერალი, დრამატურგი და რეჟისორი ნინო ხარატიშვილი ადამიანის თავისუფლებისა და საზოგადოებრივი ნორმების ურთიერთკავშირების, პოლიტიკურ-რელიგიური ინტრიგების შესახებ მოგვითხრობს.

## გიორგი ვარსიმაშვილი ავსტრიაში დააჯილდოვეს



რეჟისორი გიორგი ვარსიმაშვილი ავსტრიაში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე დააჯილდოვეს.

ინფორმაცია რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა გაავრცელა:

– ავსტრიაში, ალპებში, პულუსიონის საერთაშორისო კინოფესტივალზე გიორგი ვარსიმაშვილის მიერ გადაღებულმა დოკუმენტურმა ფილმმა „მაინც ვითამაშებთ“, რომელიც „თავისუფალი თეატრის“ 20-წლიან ცხოვრებას ეხება, მიიღო ფესტივალის მთავარი პრიზი „საუკეთესო დოკუმენტური ფილმისათვის“. ორმაგად მიხარია, შვილისა და თეატრის გამო.

## რევაზ ლაგვილავა იუბილარია



ოპერის მომღერალი რევაზ დაგვილავა იუბილარია. მას 70 წელი შეუსრულდა.

ქართული საოპერო სცენის ერთ-ერთი გამორჩეული მომღერალი წლების განმავლობაში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბრწყინვალე სოლისტი იყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სწავლა კონსერვატორიაში განაგრძო.

მისი დებიუტი შედგა სპექტაკლში „იოლანტა“, სადაც რობერტის პარტია იმღერა. იუბილარი ხელოვანის გზა უდიდესი წარმატებით გააგრძელა მისმა შვილმა – ბარიტონმა ნიკოლოზ ლაგვილავამ, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრები იწვევენ.

## კულტურის სამინისტროს შენობის რეაბილიტაციისას ძველი აკლდამები აღმოაჩინეს



კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს სამინისტროს ავტოფარეხის ქვეშ ძველი აკლდამები აღმოაჩინეს. აღმოჩენილი ძველი აკლდამებიდან ნეშტები ხოჯევანქის სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელმწიფო პანთეონში უკვე გადაასვენეს.

პროცესს მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის ელჩი აშოტ სმბატიანი, საქართველოში სომხური სათვისტომოს ხელმძღვანელი ვან ბაიბურთი და სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღოლი, არქიმანდრიტი კირაკოს დავთიანი ესწრებოდნენ.

სამინისტროს ტერიტორიაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს თავდაპირველად ორი აკლდამა აღმოაჩინეს, რის შემდეგ სამინისტრომ დაუყოვნებლივ შეაჩერა სამუშაო პროცესი და ადგილზე მიიწვია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს არქეოლოგები, რადგან ცნობილია, რომ წარსულში ამ ტერიტორიაზე იყო სომხური ეკლესია და რომ საბჭოთა პერიოდში ეკლესიის მიმდებარედ არსებული სომხური სასაფლაო იქნა გაუქმებული.

არქეოლოგებმა სამინისტროს შიდა ეზოს სხვა მონაკვეთებიც დაამუშავეს და ხუთი ნეშტი აღმოაჩინეს. მათგან ორი საფლავის ქვებზე შემორჩენილი წარწერების წყალობით იდენტიფიცირებულია. როგორც ეპიტაფიით ირკვევა, ერთი საფლავი სომხური ტაძრის მღვდლის, ოჰანეზ ტერ პოღოსიანისაა, მეორე კი – მისი მეუღლის. სამინისტროს, საქართველოში სომხური სათვისტომოსა და სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღოლის, არქიმანდრიტ კირაკოს დავთიანის შეთანხმების საფუძველზე, ყველა ნეშტი სომხურ პანთეონში გადაასვენეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. მოსახლეობის საერთო-სახალხო გამოკითხვა; 2. ღვინის რაოდენობის ძველებური საწყაო, უდრიდა დაახლოებით ერთ ლიტრს; 3. საჭრისის სამაგრი სახარატო ჩარხზე; 4. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 5. ჟორჟ სანდის რომანი; 6. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. პირველი იარუსის ლოჟები თეატრში; 9. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 13. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 17. ღვარძლიანი, შურიანი, ბოროტი ადამიანი; 18. დედამიწის მანათობელი.

**თარაზულად:** 1. სხვადასხვა ოპერის მუსიკალური ნაწყვეტებისგან შექმნილი იტალიური ოპერა; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 10. გემთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი უკრაინაში; 11. მდინარე რომში; 12. ბალეტ „დონ კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 14. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 15. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 16. სუბტროპიკული ხილი; 19. პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი; 20. კინოფესტივალი, გამოფენა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება; 21. კომპანია „ამაზონის“ მფლობელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*